გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№88 (1114) 5 – 6 აგვისტო, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ყურადღება!

სახელმწიფო მულტიპლექსისთვის მინიჭებული ციფრული მიწისზედა მაუწყებლობისთვის განკუთვნილი დროებითი სიხშირული რესურსი მუდმივი სიხშირეებით იცვლება.

ციფრული მაუწყებლობის სააგენტო

მიმდინარე წლის 6-7 აგვისტოს, ბოლნისსა და წალკაში ციფრულ სატელევიზიო მიმღებ აპარატურაზე ძებნის რეჟიმის გააქტიურების შედეგად, გადაცემების ხილვა შესაძლებელი იქნება 618 მჰც სიხშირეზე, ხოლო საჩხერეში, ჭიათურასა და ტყიბულში - 578 მჰც სიხშირეზე. დეტალური ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ვებ-გვერდს digitaltv.ge ან დარეკეთ ცხელ ხაზზე:1480

გოგი თოფაძე „ჰეინეკენის“ წინააღმდეგ

„საქართველოს ლუდის ბაზარზე მეხუთე ოპერატორი შემოდის და ბუნებრივია, უკვე მოქმედ 4 ოპერატორს შეგვავიწროვებს“

„ჭყონია რომ აცხადებს, „ჰეინეკენს“ „დავახრჩობო“, ასე ადვილადაც არ არის საქმე“

გვ. 3

„ჰეინეკენს“ საქართველოს პატარა ბაზარზე ან ამ გაჭირვებულ ქვეყანაში რა ინტერესი უნდა ჰქონდეს? გამორიცხული არ არის, ლუდის წარმოების გარდა, აქ სხვა ბიზნესიც წამოიწყოს. მათ აქტიურობაში საეჭვო მომენტებიც არის“

რა მიზნით შემოდის საქართველოში ჰოლანდიური კომპანია და რას ითხოვს მილიონერი დეპუტატი

სკანდალური საქმე

გვ. 5

ქვანია უკანასკნელად ამერიკის ელჩს ელაპარაკა

ახალი დეტალები პრემიერის საქმეში, სიკვდილის ღამეს განხორციელებული სატელეფონო ზარები და გამომძიებლის სკანდალური ჩვენება

ექსკლუზიური ინტერვიუ სლოვაკეთის პირველ ელჩთან საქართველოში

გვ. 7

გვ. 8

რა ღირს თბილისში დასვენება

The Wall Street Journal: „ეს ხელისუფლება უფრო ფრთხილად მოქმედებს და ცდილობს, შეანელოს რუსეთთან კონფრონტაცია“

გვ. 4

როგორ აფასებენ აშშ-ს მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლები „ქართული ოცნების“ საგარეო კურსს

თეა წულუკიანს ინტერპოლის მიმართ კითხვები აქვს

იუსტიციის მინისტრის განცხადებით, ინტერპოლის ბიუროს გადაწყვეტილება, კეზერაშვილის ძებნილთა სიიდან ამოღების შესახებ, საქართველოს ძალოვან სტრუქტურებს დანაშაულთან ბრძოლაში ხელს უშლის.

თეა წულუკიანმა ინტერპოლის ამ გადაწყვეტილებას სამწუხარო ფაქტი უწოდა და აღნიშნა, რომ საქართველოს ინტერპოლთან ტრადიციულად კარგი თანამშრომლობა აქვს: **„საქართველოს მხრიდან ეს თანამშრომლობა, რა თქმა უნდა, გაგრძელდება, იქნება ეს ექსტრადიციისა თუ პატიმართა გადაცემა-გადმოცემის საკითხი, მაგრამ ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, მაქვს კითხვის ნიშნები. ინტერპოლმა მეთოდი შეცვალა. ვისურვებდი, პოლიცია, მათ შორის ინტერპოლი არ დაემსგავსოს სტრასბურგის სასამართლოს, რომელიც აქცენტებს უფრო ადამიანის უფლებებზე აკეთებს, ვიდრე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაზე“.**

ინტერპოლმა დავით კეზერაშვილი წითელი ცირკულარით ძებნილთა სიიდან ამოიღო, ხოლო საქართველოს ყოფილ პრეზიდენტზე მიხეილ სააკაშვილზე საერთაშორისო ძებნა არ გამოაცხადა.

„პირველი“

საკრებულომ 2015 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები დაამტკიცა

დედაქალაქის წარმომადგენლობით ორგანოში საკრებულოს სხდომა გაიმართა, სადაც დეპუტატებმა, დღის წესრიგით გათვალისწინებული თოთხმეტი საკითხი განიხილეს.

თბილისის მერის მოადგილე გიორგი ხელაიამ, დეპუტატებს დედაქალაქის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილების პროექტი წარუდგინა. მისი განცხადებით, 2015 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის 46 მლნ 654 ათასი ლარით გაზრდა არაერთი მნიშვნელოვანი მიზეზითაა განპირობებული.

როგორც გიორგი ხელაიამ აღნიშნა, მათ შორის საგულისხმო, თბილისში 13-14 ივნისს სტიქიის შედეგად წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრა, ასევე ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი 2015“-ის და უეფას სუპერთასის ხელშეწყობისთვის საჭირო თანხების მოპოვებაა.

მერის მოადგილის განმარტებით, ქალაქის მასშტაბით ავარიული შენობების გასამაგრებლად, მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა-პატრონობისა და რეაბილიტაციისთვის საჭირო თანხების მობილიზების კუთხით, ასევე თბილისის ზღვის ტერიტორიაზე ზოოლოგიური პარკის მოწყობისა და სპორტული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების დროული გადაჭრისთვის, აუცილებელია ბიუჯეტიდან თანხების გადანაწილება.

საკრებულოს სხდომაზე თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, გიორგი ტყემალაძემ, დეპუტატებს თბილისის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის შესახებ საკითხი წარუდგინა.

მისი განცხადებით, 2015 წლის 17 ივლისის რიგგარეშე სხდომაზე, პირადი განცხადების საფუძველზე, უფლებამოსილება შეუწყდა ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიული სიით არჩეულ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს ლევან მხეიძეს.

საქართველოს ცენტრალური სარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ, საქართველოს საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ლევან მხეიძის ადგილმონაცვლედ წარადგინეს ამავე პარტიული სიით, საკრებულოს წევრობის კანდიდატი მარინა დათუკიშვილი. შესაბამისად, მისივე თქმით, მარინა დათუკიშვილის პირადი განცხადების საფუძველზე, იგი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა, ასევე სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიების წევრი გახდება.

კომისიების პერსონალურ შემადგენლობაში, ადგილმონაცვლეობა განხორციელდა მამუკა ახვლედიანის პირადი განცხადების საფუძველზეც, რომელიც ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობიდან, გარემოს დაცვის კომისიის შემადგენლობაში გადაინაცვლებს.

სხდომაზე დეპუტატებმა, ასევე თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით, ავტობუსების მოძრაობის მარშრუტის დამტკიცების თაობაზე და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ კაპიტალის გაზრდასთან დაკავშირებით, თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ხელმძღვანელთა თანამდებობის დასაკავებლად საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და მათივე საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების საკითხებზე იმსჯელეს.

მერიის სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ, ზაზა ცინაძემ, საკრებულოს წევრებს, „თბილისის მერიის ოლიმპიური მზადების კომპლექსური სპორტული ცენტრისა“ და „თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრის“ გაერთიანების შედეგად „ინტეგრირებული სპორტული ცენტრის“ შექმნის შესახებ პროექტი წარუდგინა.

სხდომაზე განხილულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, დეპუტატებმა, საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს, ლია ჯახველაძეს მოუსმინეს, რომელმაც თბილისში არსებული ზოგიერთი გეოგრაფიული ობიექტის სახელების აღმნიშვნელი აბრების დიზაინის შესარჩევი კონკურსის ჩატარებისთვის განსახორციელებელი ღონისძიებების ნუსხა წარადგინა.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატებს თბილისში, ორი ქუჩის სახელდების საკითხი გააცნო, რომლის თანახმადაც, ნაძალადევის რაიონში, ცხრა ძმის ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს — ცხრა ძმის ქუჩის III შესახვევი, ხოლო ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, შოთა რუსთაველის ქუჩის მონაკვეთს, ალექსანდრე ჯავახიშვილის ქუჩა ეწოდება.

დეპუტატებმა სხდომაზე განხილულ საკითხებს დადებითი რეკომენდაციით მისცეს თანხმობა და თოთხმეტივე საკითხი ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს.

სხდომას, დეპუტატების გარდა, თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების უფროსები და მათი მოადგილეები დაესწრნენ.

„პირველი“

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატზე გამსვლელ ნაკრებთა რიცხვი შესაძლოა 40-მდე გაიზარდოს

FIFA-ს პრეზიდენტობის კანდიდატი, მიშელ პლატინი, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე გამსვლელი ნაკრებების რაოდენობის გაზრდას გეგმავს.

ესპანური გამოცემა AS-ის ინფორმაციით, პლატინის გეგმა ნაკრებების რიცხვის 32-დან 40-მდე გაზრდაა. თუმცა, გამოცემა არ აკონკრეტებს, მსოფლიოს რომელ კონტინენტს შეეხება აღნიშნული ცვლილება.

მიშელ პლატინიმ, UEFA-ს პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ევროპის ჩემპიონატის მონაწილეთა რაოდენობა 16-დან 24 გუნდამდე გაზარდა. სიახლე 2016 წლის ევროპის ჩემპიონატზე ამოქმედდება. UEFA-ს პრეზიდენტი, ასევე თეთრი ბარათის იდეის რეალიზებასაც გეგმავს, რომელიც კონკრეტული დარღვევისთვის ფეხბურთელის 10 წუთით გაძევებას გულისხმობს.

„პირველი“

უეფა-მ თბილისის „დინამო“ 20 ათასი ევროთი დააჯარიმა

უეფა-ს სადისციპლინო კომიტეტმა თბილისის „დინამო“ დასაჯა — „დინამო“ ჯარიმის სახით 20 ათას ევროს გადაიხდის. sportall.ge-ს ინფორმაციით, ეს სანქცია ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანომ საქართველოს ყველაზე ტიტულოვან კლუბს აზერბაიჯანულ „გაბალასთან“ ევროპალიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩის დროს გამოკიდებული ზოგიერთი ბანერის გამო დააკისრა.

„ინტერპრესნიუსი“

სახალხო დამცველი ბრალდებულ ირაკლი ფირცხალავასთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს

სახალხო დამცველი, უჩა ნანუაშვილი ირაკლი ფირცხალავას პენიტენციურ დაწესებულებაში მონახულებასთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს:

„არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ ვებგვერდზე გავრცელდა რამდენიმე ორგანიზაციის (საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), მედიის განვითარების ფონდი (MDF), იდენტობა, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) ერთობლივი განცხადება. განცხადებაში სხვა საკითხებთან ერთად აღნიშნულია, რომ სახალხო დამცველის აპარატს ე.წ. კორტების საქმეზე ბრალდებულ ირაკლი ფირცხალავასთან ვიზიტი არ განუხორციელებია. ამასთან, განცხადების ხელმომწერი არასამთავრობო ორგანიზაციები სახალხო დამცველის აპარატს მოუწოდებენ „პროაქტიურად განახორციელოს ვიზიტები სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და მოინახულოს ბრალდებული და სათანადო რეაგირება მოახდინოს მისი უფლებების დარღვევის ფაქტზე“.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ განცხადებაში მითითებული ინფორმაცია, არ შეესაბამება სინამდვილეს — „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა არაერთხელ მოინახულეს ბრალდებული ირაკლი ფირცხალავა ჯერ კიდევ სასჯელაღსრულების მე-9 დაწესებულებიდან მე-8 დაწესებულებაში გადაყვანამდე და მას შემდეგაც. ასევე, შესაბამისი რეაგირება მოახდინეს ბრალდებულის მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომლებიც ძირითადად შეეხებოდა საყოფაცხოვრებო საკითხებს და რომელთა შესახებ თავად პატიმარი ფირცხალავა წერილობით ინფორმირებულია.

ირაკლი ფირცხალავას სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთანავე, სახალხო დამცველის აპარატმა პენიტენციური დეპარტამენტისგან ბრალდებულის მე-8 დაწესებულებაში გადაყვანის მიზეზი მოითხოვა. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა ფირცხალავასთან ვიზიტი განახორციელეს როგორც 30 ივლისს (თუმცა შეხვედრა ვერ შედგა ბრალდებულის სასამართლო პროცესზე ყოფნის გამო), ასევე, 1 აგვისტოს, სასჯელაღსრულების მე-9 დაწესებულებაში.

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება არასამთავრობო ორგანიზაციების ნებისმიერ ძალისხმევას, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვას ისახავს მიზნად. თუმცა, მიუღებლად მიაჩნია განცხადების გავრცელება ფაქტობრივი გარემოებების გადამოწმების გარეშე, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება“.

სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ აღნიშნული ორგანიზაციები მომავალში მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან მსგავსი ტიპის მგრძნობიარე თემებზე განცხადებების კეთებას და არ შეუწყობენ ხელს დაუზუსტებელი და არასწორი ინფორმაციის გავრცელებას“.

მებაჟე ოფიცრებმა აკრძალული მედიკამენტების შემოტანის ფაქტები აღკვეთეს

საბაჟო გამშვები პუნქტის „სარფის“ ტერიტორიაზე, საბაჟო პროცედურების განხორციელებისას, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა ფსიქოტროპული და ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტების შემოტანის მცდელობა გამოავლინეს.

შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე გ.ვ.-ს კუთვნილ ავტომანქანაში მოთავსებულ მგზავრის ბარგში მათ 80 აბი CODOLIPRANE და 12 აბი BROMAZEPAM BIOGARAN აღმოაჩინეს.

საქმე შემდგომი რეაგირების მიზნით საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარ სამმართველოს გადაეცა.

ანალოგიური ფაქტი „სადახლო საავტომობილოს“ ტერიტორიაზეც მოხდა. ირანის მოქალაქე ნ.გ.ა.-ის კუთვნილ ბარგში მებაჟე ოფიცრებმა ნარკოტიკული ნივთიერება კოდეინის შემცველი მედიკამენტი ACETAMINOPHEN CODEINE 300/10 (20 აბი) აღმოაჩინეს.

საქმე შემდეგი რეაგირებისთვის ქვემო ქართლის საპატრულო პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტს გადაეცა.

„ინტერპრესნიუსი“

გოგი თოფაძე „ჰეინეკენის“ წინააღმდეგ

რა მიზნით შემოდის საქართველოში ჰოლანდიური კომპანია და რას ითხოვს მილიონერი დეპუტატი

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს ბანკის დაფინანსებით, ღვინის კომპანია „თელიანი ველი“, მსოფლიოში ცნობილი ბრენდის, „ჰეინეკენის“ ლუდის ქარხნის აშენებას ნატახტარში აპირებს. ამ მიზნით, ბანკმა სესხი უკვე დაამტკიცა, თუმცა ამ ეტაპზე უცნობია, რა მოცულობის კრედიტი და ინვესტიცია გამოიყოფა ამ პროექტისთვის, ან კონკრეტულად როდის დაიწყება ქარხნის მშენებლობა. „თელიანი ველი“, „ჰეინეკენის“ ექსკლუზიური დისტრიბუტორია საქართველოში. ცნობილ ჰოლანდიურ კომპანიას, მსოფლიოს 70-მდე ქვეყანაში, 130-ზე მეტი ქარხანა აქვს. მსოფლიოში ლუდის მწარმოებელთა შორის, „ჰეინეკენი“ მე-3 ადგილზეა. მედიაში გავრცელებულ ამ ინფორმაციას ერთგვარი აჟიოტაჟი უკვე მოჰყვა — პარლამენტარმა გოგი თოფაძემ, რომელიც ლუდის კომპანია „ყაზბეგის“ ერთ-ერთი დამფუძნებელია, განაცხადა, რომ „ჰეინეკენის“ შემოსვლა საქართველოს ადგილობრივ ბაზარს შეამცირებს.

თოფაძე „ჰეინეკენის“ წინააღმდეგ?

საინფორმაციო სააგენტოების ინფორმაციით, გოგი თოფაძე მსოფლიოში ცნობილი ლუდისმწარმოებელი კომპანიის საქართველოში შემოსვლას არ ეთანხმება. გავრცელებული ინფორმაციით, პარლამენტარი შიშობს, „ჰეინეკენი“ ქართულ ბაზარზე დემპინგური (საქონლის გაყიდვა უცხო ქვეყნის ბაზარზე ადგილობრივ ფასებთან შედარებით ბევრად იაფად, ზოგჯერ თვითღირებულებაზე ნაკლებადაც კი, — ავტ.) ფასებით დაიწყებს მუშაობას, რაც ადგილობრივ მწარმოებლებს დააზარალებს. ცნობილია, რომ პარლამენტმა ანტიდემპინგურ კანონზე მუშაობა უკვე დაიწყო, რომელიც იმპორტიორს ადგილობრივი ბაზრის ფასებთან შედარებით დაბალი ფასის დაწესებას უკრძალავს.

ანტიდემპინგური კანონპროექტი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროშია გაჩერებული. საკანონმდებლო ორგანო სწორედ ამ უწყების ოფიციალურ პასუხს ელის, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, ანტიდემპინგური კანონის განხილვას დეპუტატები საშემოდგომო სესიაზე ვარაუდობენ.

მიმდინარე წლის იანვარში, ეკონომიკის მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა **გიორგი კვირიკაშვილმა** განაცხადა, რომ მთავრობა ანტიდემპინგურ კანონზე მუშაობას დაიწყებდა. კვირიკაშვილის განმარტებით, ამ კანონის შემოღების მიზანი, უსამართლო კონკურენციისგან ადგილობრივი წარმოების დაცვა უნდა ყოფილიყო: **„არის მაგალითები, როდესაც ესა თუ ის კომპანია, ადგილობრივ ბაზარზე დემპინგური ფასებით შემოდის. ამ შემთხვევაში, ადგილობრივი წარმოება კვდება, ხოლო იმპორტიორი მონოპოლისტი ხდება, რომელიც ადგილობრივ ბაზარზე დამკვიდრებას აბსოლუტურად სხვა ფასებით იწყებს“.**

ბოლო დროს, ბიზნესმენებმა ხელისუფლების რამდენიმე რეგულაცია უკვე გააპროტესტეს. თავდაპირველად, მწარმოებლები ლუდზე აქციზის გადასახადის 100%-ით ზრდას დაუპირისპირდნენ, რაც ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად, ასე დასრულდა — აქციზის 40-თეთრიანი გადასახადის გაორმაგების ნაცვლად, ბიზნესმენთა ინიციატივით, ეს გადასახადი მხოლოდ 50%-ით გაიზარდა და 80-ის ნაცვლად, 60 თეთრი გახდა. ამ ეტაპზე, მწარმოებლები ხელისუფლების კიდევ ერთ რეგულაციას აპროტესტებენ, რომლითაც არაალკოჰოლური სასმელის მარკირება 2015 წლის ნოემბრიდან სავალდებულო უნდა გახდეს.

მილიონერი დეპუტატი

არაოფიციალურად, სხვადასხვა ეკონომიკური კვლევის შედეგად, გოგი თოფაძე 600 მილიონი აშშ დოლარის ქონებას ფლობს, თუმცა ოფიციალურად, დეპუტატი აცხადებს, რომ მისი ქონება 600 მილიონ დოლარზე ბევრად ნაკლებია. მაგალითად, „ფორბსის“ მილიონერთა სიაში, გოგი თოფაძის ქონება მხოლოდ 60 მილიონი აშშ დოლარითაა შეფასებული.

წლების განმავლობაში, გოგი თოფაძე სამეწარმეო საქმიანობით იყო დაკავებული და არაერთ კომპანიას ფლობდა. ოფიციალურად, ქონებრივი დეკლარაციისა და რეესტრის მონაცემებით, თოფაძის საკუთრებაშია 10 000 კვ.მ მიწის ნაკვეთი მცხეთაში, მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი თბილისში — ჭავჭავაძის გამზირზე, ბინა ვაკეში — მცხეთის ქუჩაზე. მისი მეუღლის, მარინა თოფაძის სახელზეა გაფორმებული მიწის ნაკვეთები წყნეთში. თოფაძეების ოჯახს ეკუთვნის ლადო გუდიაშვილის ფერწერული ტილოები. გოგი თოფაძის სახელს უკავშირდება და დეპუტატობის დროსაც კი, 2013 წლის მონაცემებით, წილებს ფლობდა შემდეგ კომპანიებში: „ქართუ უნივერსალი“, შპს „იორის ჭალები“, შპს „კალვე“, შპს „ცხრაწყარო 2007“, შპს „სამგორი“, შპს „კურორტი ბაკურიანი“, შპს „ყაზბეგი ფშავლელი“, შპს „წარაფი 98“, შპს „თრუსო“, შპს „თერჯოლა 2007“, შპს „ბარი ყაზბეგი-ლომთაგორა“, შპს „ყაზბეგი 2005“, შპს „ვეტპრეპარატი“, შპს „ყაზბეგი ბაკურიანი“, შპს „თრიალეთი“, შპს „ყაზბეგი 1881“ და შპს „ყაზბეგი ნაყინი“.

წლების წინ, ჯერ კიდევ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს, როდესაც „მრეწველი“ გოგი თოფაძე პარლამენტში მოხვდა, მისი ინიციატივით, კანონში ცვლილება შევიდა. ამ ცვლილებით, საქართველოში იმპორტირებული ლუდი მაღალი საპროცენტო განაკვეთით დაბეგრეს და ეროვნული პროდუქციის წარმოებას ხელი შეუწყვეს. მოკლედ, იმ პერიოდში, „ჰაინეკენი“, ბავარიული თუ ჩეხური ლუდი საგრძნობლად გაძვირდა და მის შემოტანას აზრი აღარ ჰქონდა. სამაგიეროდ, „ყაზბეგი“ და „ლომისი“ გაიაფდა და მოსახლეობაც ქართულ ლუდს მძიმედ, მაგრამ ნელ-ნელა შეეჩვია. სხვათა შორის, თოფაძის ამ ინიციატივას ხელი მაშინდელმა პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ შეუწყო, რადგან ცნობილი ფაქტია, რომ თოფაძე და შევარდნაძე მეგობრობდნენ. ამ მეგობრობის ხათრით, შევარდნაძემ თოფაძეს ხათრი არ გაუტეხა და იმპორტირებულ ლუდზე საბაჟო ტარიფი გაზარდა.

მოგვიანებით, შევარდნაძესა და თოფაძეს შორის „შავმა კატამ“ გაირბინა. ეს ის პერიოდია, როდესაც თოფაძის პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, პრეზიდენტის „მოქალაქეთა კავშირს“ სერიოზულად დაუპირისპირდა და ლუდის მწარმოებელმა დეპუტატმა, თანამოაზრეებთან ერთად, ოპოზიციაში გადაინაცვლა. სწორედ ამ პერიოდში, „ყაზბეგის“ დამფუძნებელ გოგი თოფაძეს, ყოფილ პარტნიორებთან — ფრანგულ „კასტელი-ჯგუფთან“ სერიოზული პრობლემები შეექმნა. „კასტელი ჯგუფი“ საკმაოდ სერიოზულ ინვესტიციებს ახორციელებდა „ყაზბეგში“, მაგრამ ეს დაპირისპირება ისე გამწვავდა, „კასტელი“ დამოუკიდებელ სუბიექტად ჩამოყალიბდა და ბაზარზე ოპერირება „კასტელი საქართველოს“ სახელით დაიწყო. მართალია, „კასტელთან“ დავაში, თოფაძემ ნაწილობრივ შეძლო საკუთარი პოზიციების დაცვა, მაგრამ თუ იმ პერიოდის პრესას გადავხედავთ, თოფაძის ინფორმაციით, ფრანგულ კომპანიას პირადად პრეზიდენტი შევარდნაძე და მისი შვილი გადაეფარნენ. შევარდნაძეები რომ არა, „კასტელთან“ დაპირისპირებაში, თოფაძე ბოლომდე დაამტკიცებდა საკუთარ სიმართლეს და გაიმარჯვებდა კიდეც.

რას აპროტესტებს თოფაძე

რატომ დაუპირისპირდა გოგი თოფაძე მსოფლიოში ცნობილ ლუდის კომპანია „ჰეინეკენს“? კონკრეტულად რას აპროტესტებს და რას ითხოვს „ყაზბეგის“ დამფუძნებელი დეპუტატი? „ვერსიას“ გოგი თოფაძე ესაუბრება:

— ორ საკითხს გავუსვამ ხაზს, ჯერ ერთი, ამჟამად საქართველოში, ლუდის მწარმოებელი 4 ძირითადი ოპერატორია — „ნატახტარი“, „ზედაზენი“, „კასტელი“ და „ყაზბეგი“. ნებისმიერი ორი რომ დააჯგუფოთ, საქართველოს მოთხოვნას მთლიანად ფარავს, ამიტომ ადრე ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ „ჰეინეკენს“, რომელიც უდიდესი კომპანიაა, საქართველოს ბაზარი მას ნაკლებად აინტერესებს. ამ კომპანიას მსოფლიოს დაახლოებით 50 ქვეყანაში აქვს წარმოება და პარტნიორებიც ჰყავს. საქართველოს ლუდის ბაზარზე, რომელიც დაბალი მსყიდველობით გამოირჩევა, მეხუთე ოპერატორი შემოდის და ბუნებრივია, ამ ბაზრის გარკვეულ სეგმენტს აითვისებს, რის გამოც, ლუდის ბაზარზე მოქმედ უკვე 4 ოპერატორს შეავიწროვებს. რაც შეეხება მეორე საკითხს, მართალია, „ჰეინეკენის“ საქართველოში შემოსვლით, სამუშაო ადგილები შეიქმნება, მაგრამ ტრადიციებით, ჩვენ უფრო ღვინის ქვეყანა ვართ. მაგალითად, ევროპის ქვეყნებში, ერთ სულ მოსახლეზე 120 ლიტრი ლუდი მოდის, საქართველოში კი 25 ლიტრზეც ვერ ავედით. ოქტომბრიდან, როცა ყურძენი დაიწურება, ჩვენს ქვეყანაში ლუდის რეალიზაცია იკლებს და შესაძლოა, ამ მხრივ, პრობლემები შეიქმნას. ჭყონია რომ აცხადებს, „ჰეინეკენს“ „დავახრჩობო“, მთლად ასე ადვილადაც არ არის საქმე. ნამდვილად ვერ „დაახრჩობს“, რადგან ესაა უდიდესი პოტენციალის მქონე კომპანია.

დასასრული მე-4 გვერდზე

წერეთლის გამზირზე კომპანია „ნატახტარის“ საწყობში ხანძარი გაჩნდა

წერეთლის გამზირზე №87ა-ში ეზოში, „ნატახტარის“ საწყობში გაჩენილი ცეცხლი მეხანძრეებმა ჩააქრეს. ხანძარი მუყაოს ყუთებს გაუჩნდა.

აღნიშნულ მისამართზე 3 სხვადასხვა კომპანიაა განთავსებული, მათ შორის, ერთ-ერთია შპს „ნატახტარი 2005“. ცეცხლი კომპანიების საერთო ნაგავსაყრელზე გაჩნდა. ხანძრის გაჩენის მიზეზი, სავარაუდოდ, მაღალი ტემპერატურა გახდა.

წერეთლის გამზირზე მომხდარი ხანძრის ჩასაქრობად 3 სახანძრო მანქანა იყო მობილიზებული. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

„პირველი“

შს სამინისტროში შესაძლოა საკადრო ცვლილებები განხორციელდეს

შს ახალი მინისტრის გიორგი მღებრიშვილის განცხადებით, შესაძლოა, მოხდეს საკადრო გადაადგილებები, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ვინმე თავის თანამდებობას დაემშვიდობება: **„რაც შეეხება საკადრო ცვლილებებს, შესაძლოა მოხდეს გადაადგილებები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ვინმე თავის თანამდებობას დაემშვიდობება. ეს გადაწყვეტილებები დეტალური განხილვის საფუძველზე იქნება მიღებული“.**

გიორგი მღებრიშვილს შს მინისტრის რანგში 4 აგვისტოს პირველი სამუშაო დღე ჰქონდა. უწყების თანამშრომლებს იგი შს ყოფილმა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა წარუდგინა.

„პირველი“

უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე იოსებ გოგაშვილი იქნება

უსაფრთხოების სამსახურის უფროსის, ვახტანგ გომელაურის განცხადებით, მისი მოადგილე იოსებ გოგაშვილი იქნება.

როგორც გომელაურმა შსს-ში ახალ მინისტრ გიორგი მღებრიშვილთან შეხვედრისას აღნიშნა, მუშაობას 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე, ძველ უშიშროების სამინისტროს შენობაში გააგრძელებს. ვახტანგ გომელაურმა გიორგი მღებრიშვილს შს მინისტრად დანიშვნა მიულოცა და იმედი გამოთქვა, რომ წარმატებული მინისტრი იქნება: **„მინდა, მივულოცო ბატონ გიორგის ამ თანამდებობაზე დანიშვნა. დარწმუნებული ვარ, წარმატებული იქნება ისევე, როგორც სასჯელაღსრულების სამინისტროში, სადაც მან ბევრი გააკეთა. შს სამინისტროში 2012 წლიდან დაწყებულია რეფორმები. ეს ჯერ ირაკლი ღარიბაშვილმა დაიწყო, შემდეგ ბატონმა ლექსომ გააგრძელა, მეც, რა თქმა უნდა, მივყვები ამ გეგმას. სიახლეები იქნება, ასევე საპატრულო პოლიციაში. ვფიქრობ, ბატონი გიორგი წარმატებული მინისტრი იქნება“.**

შს სამინისტროს გაყოფის შემდეგ, შს ყოფილი მინისტრი ვახტანგ გომელაური უსაფრთხოების სამსახურის უფროსი გახდა, მისი ადგილი კი გიორგი მღებრიშვილმა დაიკავა.

„პირველი“

ერთჯერადი ქვეყანა

ლევან სეფისკვერაძე

თუკი საქართველოში ჩამოსულ ალექსანდრე დიუმას დავერწმუნებით, (ანდა რატომ არ უნდა ვერწმუნოთ?) მე-19 საუკუნის ბოლოს თბილისი პარიზზე ბევრად ძვირი ქალაქი იყო. დიუმა გაოგნებული იხსენებს იმ ეპიზოდს, როდესაც თბილისელმა დალაქმა თმის შეჭრაში მას იმაზე ლამის 10-ჯერ მეტი ფული სთხოვა, ვიდრე პარიზელი თუნდაც ცნობილი დალაქი მოსთხოვდა. ნახსენები თბილისელი დალაქი, რა თქმა უნდა, იმ ეპოქის ელიტური „სტილისტი“ იქნებოდა (ქართველები დიუმას არაპრესტიჟულ პარიკმახერს ნამდვილად არ აკადრებდნენ) და შესაბამისად, მეძვირეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ საპარიკმახერო მომსახურების ფასში თბილისსა და პარიზს შორის ამხელა სხვაობა მართლაც რომ ძალიან ბევრ რამეზე მეტყველებს.

ეს უზარმაზარი თემაა და სიმართლე გითხრათ, ზუსტად არც კი ვიცი, საიდან დავიწყო საუბარი. არადა, რომელი რთულად მოსაყოლი ეს არის?! ერთი სიტყვით, ვთქვათ შედიხართ თბილისის რომელიმე სპორტულ მაღაზიაში. დახლებზე ათასგვარი საჭირო თუ სრულიად არასაჭირო ნივთი აწყვია, რომელთა ფასები ხშირად ძალიან დიდია. თუმცა, პოპულარულ მაღაზიაში შემსვლელმა კაცმა ფასზე წუწუნი არ უნდა დაიწყოს, რამეთუ თუ ფული არ გაქვს, ღმერთმა და კიდევ სხვა ვიღაცებმა, განა ტყუილად შექმნეს ვაგზლის ბაზრობა...

ერთი სიტყვით, შეხვედით ამ მაღაზიაში და გინდათ, მაღალხარისხიანი მაისური იყიდოთ. თქვენი სურვილის გაგებისთანავე, მაღაზიის მომსახურე პერსონალი დაბზრიალდება და გაჩვენებთ და გიქებთ უამრავ მაისურს. ამ მაისურებს სულ პოპულარული უცხოური ბრენდების იარლიყები აქვს დარტყმული და აბა, მათ ხარისხში ეჭვის შეტანა როგორ იქნება? ჰოდა, ბევრი რჩევის შემდეგ, საკმაოდ ძვირად ყიდულობთ მაისურს და შენაძენით აღფრთოვანებული მიეშურებით სახლისაკენ. ყველაფერი კი შემდეგ იწყება და ირკვევა.

დახეთ უცნაურობას... ასე ძვირად ნაყიდი ხელიხელ საგოგმანები ეს თქვენი მაისური პირველსავე გარეცხვის შემდეგ კარგავს ფერს, ფორმას და გარეგნულ სახეს. თქვენც შესაბამისად კარგავთ მოთმინებას, მიეჭრებით მაღაზიის გამყიდველებს და ხმალამოღებული სარდალივით, ცხვირწინ უტრიალებთ მათ მიერ ნაქებ, მაგრამ უხარისხო მაისურს.

გამყიდველები თქვენს ასეთ გამოხდომას მომზადებულნი ხვდებიან. წამსვე იშიშვლებენ სათანადო ორგანოების მიერ გაცემულ სერტიფიკატს, სადაც მათ მაღაზიაში არსებული პროდუქციის ხარისხიანობაზეა საუბარი. გაბრაზებულს, მაგრამ ბედსშეგუებულს ისღა დაგრჩენიათ, მაღაზიას ბუზღუნით გაეცალოთ „კუდამოძუებული“ და ყველაფერი სარეცხ მანქანას ან სარეცხ საშუალებას დააბრალოთ.

სანამ თქვენ ამ ბჭობაში ხართ და მაისურის გაფუჭების მიზეზებზე ფიქრით ტვინს იცხელებთ, მანამდე მაღაზიის მეპატრონე არც მეტი, არც ნაკლები, ლილოს ბაზრობაზე დაწანწალებს და იქაური „ტავარის“ დიდ „სუნვასა“ და არჩევაშია გართული. არ გაგიკვირდეთ, როდესაც ამას ასე დარწმუნებით ვამბობ. ლილოს ბაზრობაზე უკვე კარგად ცნობენ და როგორც გავიგე, გვარიანადაც ქილიკობენ მაღაზიის ზოგიერთ (და რა თქმა უნდა არა ყველა) მფლობელზე, რომლებიც თავის მხრივ ფულიან, მაგრამ საქმეში ჩაუხედავ ხალხს ატყუებენ და 15-ლარიან კედს 200 ლარად ყიდიან.

ცნობილი ფირმის იარლიყის მირტყმას რა უნდა? ხელის ოსტატური მოძრაობა და ლილოს ბაზრობაზე ნაყიდი აზერბაიჯანის ტრიკოტაჟის ქარხნის პროდუქცია „ჯორჯო არმანისად“, „ნაიკისად“ ან „უმბროსად“ გარდაისახება და ნამდვილ თუ გაყალბებულ ნივთებში, მხოლოდ ერთი, „მცირე“ სხვაობა შეიძლება დაინახოთ — განუზომლად არაპროპორციული ფასი.

როგორც ჩანს, დიუმას შემთხვევით არ გაკვირვებია, როდესაც თბილისელი მეძვირე პარიკმახერი იხილა. საქართველოში ადრეც იყო და ახლაც ძალიან ბევრია ხალხი, რომლებიც კლიენტურის გულუბრყვილობით (სხვა სიტყვის ხმარება არ მინდა) სარგებლობენ და მათ რამე „ისეთი“ რომ უთხრა, აქეთ ბრალს დაგდებენ და პროვოკატორად გამოგაცხადებენ. არადა, ყველაფერი ისედაც თვალნათლივ ჩანს.

The Wall Street Journal: „ეს ხელისუფლება უფრო ფრთხილად მოქმედებს და ცდილობს, შეანელოს რუსეთთან კონფრონტაცია“

როგორ აფასებენ აშშ-ს მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლები „ქართული ოცნების“ საგარეო კურსს

გიორგი იაშვილი

რამდენიც უნდა აკრიტიკოს ოპოზიციამ ხელისუფლება, რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს და აგრესიულ მეზობელს თავს უხრისო, რეალობა სხვაგვარია. გამოცემა The Wall Street Journal-მა სტატია გამოსცა, სადაც გარკვევით წერია, თუ რა მიმართულებით მიდის საქართველო და რა განსხვავებაა წინა და მოქმედ ხელისუფლებას შორის.

„ეს ხელისუფლება უფრო ფრთხილად მოქმედებს და ცდილობს, შეანელოს რუსეთთან არსებული კონფრონტაციული ურთიერთობა. ამასთან ერთად, აშშ არ არის დაინტერესებული რუსეთსა და მის ირგვლივ მდებარე ქვეყნებს შორის დაპირისპირებით“, — აცხადებს გავლენიან გამოცემასთან საუბარში აშშ-ს მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი.

სტატიის ავტორი საქართველოს ხელისუფლების ცვლილებაზეც ამახვილებს ყურადღებას: **„2012 წელს, კონფრონტაციული პრეზიდენტის პოლიტიკური პარტია არჩევნებში დაამარცხა „ქართულმა ოცნებამ“, პარტიამ, რომელსაც მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი აფინანსებდა, რომელმაც თავისი ქონება ლითონის და საბანკო ბიზნესებით დააგროვა რუსეთში. კამპანიის დროს, „ქართულმა ოცნებამ“ ნათლად ჩამოაყალიბა, რომ თავიდან იქნება აცილებული რუსეთის პროვოცირება, ხოლო დასავლეთთან ქვეყანა მჭიდრო კავშირებს გააგრძელებს“.**

სხვათა შორის, ამერიკულ გამოცემას ყურადღებისმიღმა არც ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დარჩენია და მის მიერ დაშვებულ შეცდომებზე სწორედ სააკაშვილის განცხადებების საფუძველზე საუბრობს: **„ახალი მთავრობა ამტკიცებდა, თითქოს სააკაშვილმა და მისმა მოკავშირეებმა შეიმუშავეს ავტორიტარული ტენდენციები, ყოფილი პრეზიდენტის შეკვეთით სცემეს საქართველოს პარლამენტის წევრი და სხვა ქმედებებთან ერთად, დევნიდნენ ოპოზიციურ სატელევიზიო არხს. ეს სააკაშვილის განცხადებით დადასტურდა. „ჩვენ უამრავი შეცდომა დავუშვით, როცა რადიკალურ რეფორმებს ატარებ, შეცდომებს უშვებ, ძალას ამეტებ, კომპრომისებზე მიდიხარ“, — აღიარა ბატონმა სააკაშვილმა მაისში მიცემულ ინტერვიუში, კიევში, სადაც მან ახალი პოლიტიკური კარიერა დაიწყო“.**

The Wall Street Journal ასევე წერს, რომ, როდესაც 2013 წელს, რუსეთმა საქართველოსთან სავაჭრო ემბარგო გააუქმა, ყურძნის ფასი თითქმის გაორმაგდა და ღვინის მწარმოებელმა კომპანიებმა რუსეთში თავიანთი პროდუქციის დიდი ნაწილის რეალიზაცია შეძლეს. სხვათა შორის, საუბარი არამარტო ყურძენზე, არამედ ვაშლზეც არის, რომელიც საქართველოდან რუსეთში ასევე შეუფერხებლად გადის.

გოგი თოფაძე „ჰეინეკენის“ წინააღმდეგ

მე-3 გვერდიდან

სხვათა შორის, ოთხივე ჩვენი ქართული კომპანიის მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი ევროსტანდარტს შეესაბამება და ჩვენი ლუდი არცერთ ქვეყანას არ ჩამოუვარდება, ამიტომ შესაძლოა, „ჰეინეკენს“ სწორედ ხარისხით შევებრძოლოთ, მაგრამ საქართველოს პატარა ბაზარზე ან ამ გაჭირვებულ ქვეყანაში, „ჰეინეკენს“ რა ინტერესი უნდა ჰქონდეს? ცხადია, ქართველი პარტნიორებიც ეყოლება და შესაძლოა, აქ ლუდის ქარხანაც ააშენოს, მაგრამ გამორიცხული არ არის, ლუდის წარმოების გარდა, „ჰეინეკენმა“ საქართველოში სხვა ბიზნესიც წამოიწყოს. მერე დამაბრალებთ, საკუთარ ინტერესებს იცავს და ბიზნესს ლობირებსო, მაგრამ ასე არ არის! ობიექტურად აგიხსენით ის ძირითადი მაჩვენებლები, რაც ლუდის ადგილობრივ ბაზარს ახასიათებს.

— ბატონო გოგი, გეშინიათ, რომ „ჰეინეკენი“ საქართველოს ბაზარზე შემოვიდეს, რადგან ეს კომპანია მაღალი ხარისხს ლუდს აწარმოებს?

— არ მითქვამს, რომ „ჰეინეკენს“ უფრო მაღალი ხარისხის ლუდი აქვს...

— თქვენ არ გითქვამთ, მაგრამ ეს ჩემი შეფასებაა და შესაძლოა, ვცდები.

— არა, ხარისხზე არ ვსაუბრობ, იმ ეკონომიკურ პრობლემებზე გიმახვილებთ ყურადღებას, რაც „ჰეინეკენის“ საქართველოს ბაზარზე შემოსვლისას შეიქმნება. გიმეორებთ, ჩვენს ბაზარზე მოქმედი ოთხი კომპანიის მიერ გამოშვებული ლუდი ხარისხით ნამდვილად არ ჩამოუვარდება არც „ჰეინეკენს“ და არც მსოფლიოში ცნობილ, რომელიმე ბრენდს! შესაბამისად, ლუდის ხარისხი აქ არაფერ შუაშია, „ჰეინეკენი“ ბაზრის გარკვეულ სეგმენტს აითვისებს და უკვე მოქმედ კომპანიებს შეავიწროებს. მალე დარწმუნდებით, რომ საქართველოს პატარა ბაზარზე, „ჰეინეკენი“ მხოლოდ ლუდის წარმოებისთვის არ შემოდის.

— კონკრეტულად რა ინტერესზე საუბრობთ ამ შემთხვევაში?

— ვერ გეტყვით, მაგრამ „ჰეინეკენს“ ნამდვილად ეყოლება ქართველი პარტნიორი. ლუდის იმ რაოდენობიდან გამომდინარე, რაც ჰოლანდიაში, ბელგიაში, გერმანიასა და საქართველოში იყიდება, შესაძლოა, ადგილობრივი ბაზარი ამ მხრივ აინტერესებთ, მაგრამ მეეჭვება, ასე იყოს. სხვათა შორის, საკუთარ კომპანიას არ ვლობირებ, რადგან როდესაც ლუდზე აქციზის გადასახადი იზრდებოდა, არცერთი განცხადება არ გამიკეთებია, თუმცა ლუდის მწარმოებლებმა შეძლეს და ხელისუფლებამ აქციზის გადასახადის გაზრდა გაანახევრა, ანუ 100%-ის ნაცვლად, მხოლოდ 50%-ით გაძვირდა. ამიტომ ხაზგასმით ვაცხადებ, რომ არავითარი პრეტენზია არ გამომითქვამს, თუ რატომ აშენებს „ჰეინეკენი“ ქარხანას საქართველოში. კი ბატონო, ქარხანაც ააშენოს და ხალხიც დაასაქმოს, მაგრამ მათ აქტიურობაში საეჭვო მომენტებიც არის და ეს უკვე გითხარით. რამდენიმე დღეა, აჟიოტაჟი ატყდა, თითქოს ვიღაცა „ჰეინეკენის“ წინააღმდეგია, არადა, ასე არ არის.

— თქვენი განცხადება ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობაშია?

— მითხარით, რომელ განცხადებას გულისხმობთ?

— თუნდაც იმას, რომ „ჰეინეკენის“ საქართველოში შემოსვლით, შესაძლოა, ბაზრის რომელიმე მოთამაშე შევიწროვდეს.

— არ ვამბობ, რომ „ჰეინეკენი“ არ უნდა შემოვიდეს! დემოკრატიაა და საქართველოს ბაზარი თავისუფალია, თუ გნებავთ, ხუთი კომპანია ერთდროულად შემოვიდეს და ამაზე უარს არ ვიტყვით! თუმცა სხვა რამეს გეუბნებით, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პირობებში, ერთი, ძალიან საინტერესო პუნქტია, სადაც პირდაპირ წერია, რომ თუ ქვეყანა თავის მოთხოვნილებას მთლიანად ავსებს და ეს ლუდის გარდა, ბიზნესის სხვა დარგებსაც ეხება, მაშინ ქვეყანას შეუძლია განაცხადოს, რომ ამა თუ იმ კომპანიის შემოსვლა საჭირო არ არის. აქვე დაგიზუსტებთ, რომ ეს პუნქტი მხოლოდ იმპორტს ეხება და არა წარმოებას, რაც ნიშნავს, რომ შესაძლოა, საქართველოში ქათმის, კვერცხის, ხილის იმპორტი შევზღუდოთ, რადგან ადგილობრივი პროდუქცია ბაზრის მოთხოვნას ფარავს, მაგრამ თუ რომლიმე კომპანია აქ ქარხანას ააშენებს და წარმოებას განავითარებს, ეს შეზღუდვა არ ვრცელდება. აქედან გამომდინარე, „ჰეინეკენს“ ერთი კი არა, შეუძლია, 10 ქარხანა ააშენოს საქართველოში. სხვა საკითხია, ამით რას მოიგებს?

— ამ კონტექსტში, ანტიდემპინგური კანონის ამოქმედებით, ბაზარს დაიცავთ?

— ანტიდემპინგური კანონი სულ სხვა თემაა. როდესაც ლუდის ბაზარზე 4 კომპანია და მათ გარდა, 6-7 პატარა ქარხნებიც მოქმედებს, ანტიდემპინგურ კანონზე საუბარი არ არის. ერთი კომპანია დამისახელეთ, რომელსაც შეიძლება, ამ მიმართულებით მოედავოთ.

— ბატონო გოგი, საინფორმაციო სააგენტოების გავრცელებული ინფორმაციით, თქვენ აცხადებთ, რომ „ჰეინეკენი“ საქართველოს ბაზარზე დემპინგური ფასებით შემოვა — კარგი იქნება, თუ ანტიდემპინგური კანონს ავამოქმედებთო. ეს თქვენი განცხადებაა და ამიტომ გკითხეთ.

— არასწორი ინტერპრეტაციაა. საქართველოში ლუდის მწარმოებელი მხოლოდ ერთი კომპანია რომ იყოს და მას ბაზრის 90% ეჭიროს, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება, მოვედავოთ. თუმცა როდესაც ბაზარზე ლუდის მწარმოებელი 4 კომპანია და 7-მდე პატარა ქარხანაა, რომლებიც ადგილობრივ ბაზარს მთლიანად ინაწილებენ, რა ანტიდემპინგურ კანონზეა საუბარი?!

ზურაბ ჟვანია

სკანდალური საქმე

სპეციალური რეპორტაჟი სასამართლო პროცესიდან

ჟვანია უკანასკნელად ამერიკის ელჩს ელაპარაკა

ახალი დეტალები პრემიერის საქმეში, სიკვდილის ღამეს განხორციელებული სატელეფონო ზარები და გამომძიებლის სკანდალური ჩვენება

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

ზურაბ ჟვანიას საქმეზე სამსახურეობრივ გულგრილობაში ბრალდებულების, კობა ხარშილაძისა და მიხეილ ძაძამიას პროცესი, ?? აგვისტოს სასამართლო პროცესზე ადვოკატები, ბექა ბასილაია და გიორგი გერხაული არ გამოცხადდნენ. ბასილაიას ადგილი ტარიელ კიკნაძემ დაიკავა. პირველი მოწმე ჟვანიას საქმის ყოფილი გამომძიებელი **გიორგი ლომთაძეა**. მისი დაკითხვა წინა პროცესზე დაიწყო, თუმცა დარბაზში შუქი ჩაქრა და მოსამართლე იძულებული გახდა, სხდომა გადაედო. მიუხედავად ამისა, ლომთაძემ მაშინ მოასწრო, ჟვანიას გარდაცვალების გარემოებები ეჭვქვეშ დაეყენებინა. განაცხადა, გაზით მოწამვლის საკითხი სადავოაო: **„არსებობს ეჭვი, რომ გაზის რეგულატორზე ვინმეს ხელოვნურად მოეხდინა მანიპულირება. არის სხვა გარემოებებიც. თუ საკეტი გაფუჭებული იყო, ფანჯარა კი ღია, ჩ ოთახში ვერ დაგროვდებოდა. საეჭვოა გარდაცვლილების სხეულზე არსებული დაზიანებებიც. უსუპოვის მკერდზე ნასვრეტები... ეს ყველაფერი ბადებს ეჭვს, რომ იქ მოხდა სულ სხვა რამ, თუმცა ამ ეტაპზე, მონაცემებიდან გამომდინარე, ეს მხოლოდ ვარაუდია და მტკიცებით ფორმაში საუბარი არ შეიძლება“.**

ლომთაძის განმარტებით, პრემიერის გარდაცვალების დღეს დეტალურად შეისწავლა მისი და განსასჯელების გადაადგილების მარშრუტი. საქმეში სატელეფონო ამონაწერებიც ფიგურირებს, რომლის თანახმად უკანასკნელი ადამიანი, ვისაც გარდაცვლილი პრემიერი 1:30 ესაუბრა, ამერიკაში საქართველოს ელჩი იყო, თუმცა შეუძლებელია სატელეფონო საუბრების შინაარსის გაგება: **„პრემიერის ტელეფონზე ბოლო საუბრიდან ხანგრძლივი პაუზის შემდეგ გიორგი ბარამიძესთან ირეკება. შემდეგ კი, პრეზიდენტის დაცვის უფროსთან, თეიმურაზ ჯანაშიასთან. დაახლოებით 4:37 საათზე ნინო ქადაგიძის შემომავალი ზარი ფიქსირდება. ამის შემდეგ ისევ ჯანაშიასთან არის საუბარი. დაახლოებით 5:20 წუთზე ამ ტელეფონიდან საუბარია ვანო მერაბიშვილთან. დარეკილია კანცელარიის მისაღებშიც, ამის შემდეგ დაცვის თანამშრომელთან, დავით დაღელაშვილთან. შემდეგ გამავალი ზარი ისევ ბარამიძესთან ფიქსირდება. მერე ისევ მერაბიშვილთან. ირეკება ხარშილაძის სახლში, შემდეგ ისევ ბარამიძესთან შუალედებში ქადაგიძის სატელეფონო ზარი ფიქსირდება. 6:14 წუთიდან ნინო ქადაგიძის აქტიური შემომავალი ზარებია, რომლებიც 7:49 წუთამდე გრძელდება. ცხრის წუთებიდან შემდგომი ზარები რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე ხორციელდება. იმ დღეს ბარამიძისა და ქადაგიძის სატელეფონო ზარები ყველაზე აქტიური იყო“.**

დაცვის კითხვაზე, რატომ არსებობს ინფორმაცია, თითქოს ჟვანიას ტელეფონიდან ზარები იმიტომ განხორციელდა, რომ ხარშილაძის ტელეფონი გატეხილი იყო, ლომთაძემ განაცხადა — ეს ინფორმაცია გამოძიებას თავად განსასჯელებმა მიაწოდესო. ადვოკატმა განსასჯელის ჩვენებები წარადგინდა, თუმცა მსგავსი ინფორმაცია არსად ფიქსირდებოდა. დეტალების გასარკვევად ტარიელ კიკნაძეს ვესაუბრეთ. მან განაცხადა, რომ ხარშილაძის დამტვრეული ტელეფონი გამოძიებამ შემთხვევის ადგილზე მართლაც იპოვნა, თუმცა იმ კონკრეტულ მასალებში, რომლებზეც მხარეები სასამართლოში დავობდნენ, ეს მტკიცებულება არ ფიქსირდებოდა.

ბრალდების მხარის დაკითხვის შემდეგ მოწმის დაკითხვა დაცვის მხარემ განაგრძო. მან ჟვანიას ტელეფონიდან უსუპოვთან განხორციელებულ ზარებზე, ძაძამიასთან არსებულ განსაკუთრებით ახლო ურთიერთობებზე, რაც ხშირი სატელეფონო ზარებით აისახებოდა და ხარშილაძის მიერ ჩვენების შეცვლაზე გაამახვილა ყურადღება.

— ფლობთ ინფორმაციას, რომ ჟვანიას მაგთიკომის ნომრიდან, ბოლო პერიოდში უსუპოვის მისამართით 29 ზარი განხორციელდა?

— ზარები ნამდვილად განხორციელდა, თუმცა ზუსტი რაოდენობა არ მახსოვს.

— იცი თუ არა, რომ ჟვანიას მეორე ნომრიდან უსუპოვის მისამართით კიდევ 10 ზარია განხორციელებული?

— შესაძლებელია...

— იცით, რომ ერთი წლის მანძილზე ჟვანიამ ძაძამიას 141-ჯერ დაურეკა?

— არ დამითვლია, შესაძლებელია...

— ადასტურებთ, რომ 2005 წლის 2 თებერვალს 19:19 საათზე ჟვანიამ საკუთარი ტელეფონიდან უსუპოვს დაურეკა და მათი საუბარი 33 წამი გაგრძელდა?

— ვადასტურებ.

— გამოძიება ხშირად ამბობს, რომ კობა ხარშილაძემ ჩვენებები რამდენჯერმე შეცვალა, დააკონკრეტეთ, რას გულისხმობთ. კობა ხარშილაძე რამდენჯერ დაიკითხა?

— ბატონი კობა ხარშილაძე ოფიციალურად დაკითხულია ორჯერ, თუმცა არაოფიციალურად რამდენჯერაა დაკითხული, თავად იცის....

— რას ნიშნავს არაოფიციალური ჩვენება?

საუბარში გაოცებული მოსამართლე ჩაერთო. დარბაზში სიჩუმეა. მოწმე ყურადღების ცენტრშია. მისგან ყველა ახსნა-განმარტებას ელის. რას ნიშნავს არაოფიციალური ჩვენება? შესაძლოა, კობა ხარშილაძეზე ზეწოლა განხორციელდა?

მოსამართლე: დააზუსტეთ, დააზუსტეთ რას ნიშნავს არაოფიციალური ჩვენება?

— ჩვენება რამდენიმე ფურცლისგან შედგება. შესაძლებელია მას რამდენიმე ცალკეული ფურცელი აკლდეს, თუმცა ჩვენებას მათ გარეშეც ლოგიკური გაგრძელება აქვს... ჩამატებული ჩვენებები შესაძლოა სწორედ იმ ცალკეულ ფურცლებზე იყოს და ახლა საქმეში არ იდოს. ეს ვინ გააკეთა, ამ ეტაპზე შესწავლის პროცესშია. ხარშილაძის პირველი და მეორე ჩვენება ერთმანეთისგან განსხვავდება.

დაკითხვის პროცესში განსასჯელი კობა ხარშილაძე ერთვება და მოწმეს თავად უსვამს შეკითხვას: გთხოვთ მითხრათ, რა ჩვენებებზეა საუბარი და თუ ისინი მართლაც არსებობს, რატომ არ დევს საქმეში... ხან ამბობთ, რომ ეს ჩვენებაა. ხან ამბობთ, რომ მხოლოდ ცალკეული ფურცლებია....

— როგორც უკვე განვმარტე, ჩვენებას აქვს რამდენიმე ფურცელი და ის ინფორმაცია, რაზეც მე ვსაუბრობ, არის ორი ან სამი ფურცელი, რომელშიც გარკვეული გარემოებები სხვადასხვანაირად არის ჩაწერილი...

— მითხარით, რამდენჯერ მივეცი ჩვენება...

— ეგ იცით თქვენ. მე ვთქვი, რა ინფორმაციაც გამაჩნია...

— მე მიცემული მაქვს ჩვენება ორჯერ.... ორივეჯერ საგამოძიებო ნაწილის თანამშრომლებისთვის.....

საუბარში ისევ მოსამართლე ეკა არეშიძე ერთვება და აზუსტებს: ჩვენების დროს როცა პირი იკითხება თითოეულ გვერდზე არსებულ ინფორმაციას პირი აწერს ხელს. აქ საუბარი იმაზეა, რომ ამ ფურცლებიდან ერთი ან ორი გვერდი ამოღებულია.... როგორ დაადგინეთ, რომ ფურცლები ნამდვილად ხარშილაძეს ეკუთვნოდა?

— ჩვენ ვმუშაობთ, რათა ეს დადგინდეს.

მოსამართლე: შესაბამისად, მტკიცებით ფორმაში ამაზე საუბარი არ შეიძლება. ეს გამოძიების საგანია და ეჭვის ერთ-ერთი საფუძველი.

მოწმის მიერ გაჟღერებულმა ინფორმაციამ არაოფიციალური და არასრული ჩვენებების შესახებ, ნაფიცი მსაჯულების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია და გამომძიებელს მეტი კონკრეტულობისკენ მოუწოდეს.

— როცა ხელისუფლება შეიცვალა და ზოდელავას ნაცვლად დაინიშნა კბილაშვილი, მის სამუშაო სეიფში აღმოჩნდა გარკვეული დოკუმენტაცია და ვიდეოფირები, რომლებიც დაკავშირებული იყო ჟვანიას საქმესთან... მანამდე ამ ფირების შესახებ გამომძიებლისთვის ცნობილი არ იყო. ეს ვიდეო ექსპერტიზის პერიოდში იყო გადაღებული... რაც შეეხება დოკუმენტებს, იქ მოთავსებული იყო ჩვენების ნაწილები.... ეს ჩვენებები რამდენიმე გვერდზე იწერება, თუმცა ყველაფერი ჩვენებად ითვლება. იქ არ იყო ერთი ან ორი გვერდი, რის გამოც ფაქტობრივი გარემოება შესაძლოა სხვაგვარად იყოს წარმოჩენილი.

ის, რომ ჟვანიას გარდაცვალების გარემოებები სადავო იყო და ბევრ ეჭვს ბადებდა, ბრალდების მხარემ არაერთხელ დააფიქსირა.

პროცესზე სხვა მოწმე აღარ დაუკითხავთ. პროკურატურამ მხოლოდ წერილობითი მტკიცებულებები წარმოადგინა. კერძოდ, ის ოქმები, რომლებშიც შემთხვევის ადგილია ასახული. ოქმში წერია, რომ გაზის გამათბობელი არასწორად იყო დამონტაჟებული, რაც სიცოცხლისთვის სერიოზული საფრთხის მომტანი იყო. მოსამართლემ განმარტა, რომ მსგავსი ციტატა შეფასება იყო, რაც ამ ტიპის ოქმისთვის შეუსაბამოა.

სხდომის დასასრულს ბრალდების მხარემ ჟვანიასა და უსუპოვის გაკვეთის ვიდეოჩანაწერის ჩვენება მოითხოვა. სასამართლო პროცესი დამსწრე საზოგადოებისთვის დახურულად გამოცხადდა. ვიდეოს ჩვენების შემდეგ ბრალდების მხარე ირწმუნებოდა, კადრში კარგად ჩანს დაზიანებები, რომლებიც გარდაცვლილებს სხეულებზე ჰქონდათო. დაცვის მხარემ კი ეს ინფორმაცია უარყო და განაცხადა, რომ ფირზე დაზიანებები არ ჩანს.

მორიგ სასამართლო პროცესებზე მტკიცებულებების წარდგენა მოხდა.

ვერსიანიუსი

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ სექტემბრიდან პარტიული კონფერენციების ჩატარებას იწყებს

კონფერენციების ორგანიზების გეგმაზე პარტის პოლიტსაბჭოს სხდომაზე იმსჯელეს.

სხდომა კოალიციის ლიდერის, ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში გაიმართა.

პარტიის ლიდერები აქტიურად იმუშავებენ ახალგაზრდული ფრთის გაძლიერებისა და ქალთა ჩართულობის ზრდის მიმართულებით. ახალ ეტაპზე გადადის პარტიის სტრუქტურული გაძლიერება.

გასვლითი ღონისძიებები სექტემბრიდან დაიწყება და კონფერენცია ყველა რაიონში გაიმართება.

გაირკვა ისიც, რომ შესაძლოა პარტია „ქართულმა ოცნებამ“ რამდენიმე რეგიონში თავმჯდომარეები შეცვალოს. უმრავლესობის წევრის, ზვიად კვაჭანტირაძის განმარტებით, დაგეგმილი რეგიონული კონფერენციები ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობის გააქტიურებისთვის იმპულსები იქნება. ორგანიზაციებში აღმასრულებელი მდივნები დაინიშნებიან, ხოლო რამდენიმე ორგანიზაციაში პარტია ადგილობრივი ხელმძღვანელების გამოცვლის თაობაზე რეკომენდაციით შევა.

„პირველი“

ცნობილი ბიზნესმენის კრიმინალური წარსული

ვინ არის რწყილა და როგორ იძია ბრტყელტუჩათი შური ღალატისთვის

პატიმარი №0578

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია — პოსტსაბჭოთა სივრცის არაერთი ცნობილი კრიმინალი, დღეს ბიზნესშია და მერე რა, თუ თავის დროზე ისინი ხოცავდნენ, ძარცვავდნენ, არეკეტებდნენ... საზოგადოებას ეს ყველაფერი თითქოს მიავიწყდა და მათ ტაშით ხვდება. საინტერესო კი ისაა, რომ ტაშს არამარტო რიგითი ადამიანები, არამედ სახელმწიფოს უმაღლესი პირებიც უკრავენ. ყოფილი კრიმინალები კი, ახალი იმიჯის მორგებას ცდილობენ...

დაკავებამდე პატიმარი №0578 გერმანულ კომპანიაში მუშაობდა და მათი სამუშაო იარაღებით აღფრთოვანებული იყო. ერთ-ერთ გერმანელს დაუმეგობრდა და ბოლოს სთხოვა, ეგებ ბრტყელტუჩა მაჩუქო, ასეთი არაფერი მინახავსო. მართლაც საოცარი ბრტყელტუჩა იყო, მთელი დღე ლურსმანი რომ გეძრო, ნაკაწრი არ ეტყობოდა. რაც მთავარია, „კუსაჩკის“ ნაკვეთებიც ჰქონდა და მავთულს ვინ ჩივის, თმასაც ჭრიდა. გერმანელმა ღიმილით უთხრა, სულ ახალ კომპლექტს გამოგიგზავნიო და მართლაც, სიტყვა შეასრულა. ერთი ეგ იყო, „შესრულებულ სიტყვაში“ 240 ევრო წაიღო, თუმცა პატიმარ №0578-ს არ დანანებია — იშვიათი კომპლექტი ჩაიგდო ხელთ. მამამისს ჩაუდო მანქანაში და ისიც კმაყოფილი დარჩა.

ამ ამბიდან რამდენიმე თვე იყო გასული. მამა-შვილი მანქანით მიდიოდა და წყნეთის გზაზე გაჩერებული „ჯიპი“ დაინახა. ღამე იყო. მანქანას ავარიულები ჰქონდა ჩართული. მამამ გააჩერა და დახმარება შესთავაზა. „ჯიპთან“ ახალგაზრდა კაცი იდგა და დაშვებულ საბურავს უიმედოდ დაჰყურებდა.

„ინსტრუმენტები სახლში დამრჩა და თითქმის საათია ვდგავარ. არავის გაუჩერებია და თუ ინსტრუმენტებს მათხოვებთ, კარგი იქნება“, — მორიდებით გაიღიმა ბიჭმა.

მამა-შვილი საბურავის გამოცვლაში მიეხმარა და...

„შეგიძლიათ ეს ბრტყელტუჩა მომცეთ? ასეთი არაფერი მინახავს. რწყილას მეძახიან, მთელი თბილისი მიცნობს, მთელი საქართველო... გადაგიხდით კიდეც“, — თქვა ბიჭმა და ჯიბიდან დოლარების შეკვრა ამოიღო. შვილმა მამას შეხედა, მამას გაეღიმა და ბრტყელტუჩა ხელში ჩაუდო, ფული არ მინდა, როცა ასე დაინახავ ვინმეს გაჩერებულს, შენც მიეხმარე და ჩათვალე, გადახდილი გაქვსო.

* * *

რუსთავის №17 ზონაზე რწყილა მოიყვანესო, მეხივით გავარდა. ყველამ იცოდა, რწყილა ცნობილი კრიმინალი იყო, მაგრამ ისიც იცოდნენ, რომ ძმაკაცთან ერთად დიდ ბიზნესში იყო ჩართული და სერიოზულ ფულსაც ჭრიდა. რწყილას დაკავებაზე ამბობდნენ, წამალი ჩაუდესო, თუმცა რეალობა არავინ იცოდა. ზონაზე სასჯელს №0578-იც იხდიდა და წლების წინ მომხდარი ახსოვდა. მას შემდეგ რწყილა არსად ენახა, თუმცა მისი „საგმირო“ საქმეების შესახებ სულ ესმოდა. ზონაზე მოყვანილ რწყილას მეფესავით დახვდნენ, საუკეთესო კამერაში მიუჩინეს ადგილი და იმანაც შეირგო. რამდენიმე დღე რწყილას არავისთვის ეცალა, ზონის ამბებში ერკვეოდა, ვინ ვისთან და რისთვის იყო, იმას არკვევდა, სად და როგორ მიდიოდა ე.წ. ობშჩიაკში მოგროვილი სიგარეტი და ჩაი... მერე კი ჩვეულებისამებრ, პლაცზეც სეირნობდა და ფეხბურთსაც თამაშობდა. თან იტალიიდან გამოგზავნილი „ფერარის“ სპორტულებით იწონებდა თავს. ერთ დღესაც რწყილას პატიმარი №0578 მიადგა.

„სალამი რწყილა, როგორ ხარ?!“ — ღიმილით ჰკითხა.

„გაუმარჯოს. მეცნობი, მაგრამ ვერ გიხსენებ“, — აგდებულად უთხრა რწყილამ.

„ჰო, ის ბრტყელტუჩა კარგად ჩააგდე საბარგულში და რაღას გემახსოვრები“, — გაიცინა №0578-მა.

„აუ, ჰო... ჩემი ძმა... როგორ ხარ? მაიცა კაცო, აქ რა გინდა? როდის, რისთვის?“ — კითხვები დააყარა რწყილამ №0578-ს.

„რა მნიშვნელობა აქვს, ყველა ვცოდავთ ცოტ-ცოტას. დაიკიდე, რა. შენ როგორ მოხვდი აქ? ამბობენ, მილიონერიაო და ეგ არის შენი მილიონები, ბალანდის გემო გაგაგებინეს ამ სიბერეში“, — გაეცინა №0578-ს.

„ძმაკაცმა გამიჩალიჩა. კი იცი შენ, ვინც. წამალს მივეჩვიე ისევ და მასვენებს. გადაეჩვევი და მერე გაგიყვანო. ერთი-ორი თვე დამჭირდება ალბათ, რა. დაიკიდე, მართლა გადავიღალე, დავისვენებ ცოტას. შენ რაზე დაგიჭირეს? შემიძლია დაგეხმარო? აქ ხომ არავინ გიხურებს?!“ — ისევ კითხვები დააყარა რწყილამ.

„არა, ვინ მიხურებს, რას მიხურებს... ბრტყელტუჩების ბიზნესი მქონდა და იმაზე დამიჭირეს, ჩემო ძმაო... სხვა როგორ ხარ? ორი თვის მერე თუ გახვალ, მეც წამოგეწევი მალე და მერე ბიზნესი თუ არა, ერთად ვიქეიფოთ მაინც, კი იცი შენ, სადაც და როგორც. საერთო საძმაკაცი გვყავს, მაგრამ ვერსად გადავიკვეთეთ “, — №0578 ღიმილით საუბრობდა.

„კარგი, წამო, ჩემთან ავიდეთ კამერაში, „სვაბოდის პაიოკი“ მაქვს“, — რწყილამ ხელი გადახვია და კამერაში აიყვანა.

„ამას საიდანღა იცნობ? გადავირიე, რა...“, — ზონის მაყურებელმა რწყილა და №0578 რომ დაინახა, გაოცდა.

„ამან მაჩუქა ის ბრტყელტუჩა, მთელი თბილისი რომ მეჩალიჩებოდით“, — გაიცინა რწყილამ და კარადიდან სულგუნი გამოიღო.

„ჰო და მერე კაცმა არ იცის, სად დაკარგე ეგ ბრტყელტუჩა“, — უთხრა მაყურებელმა და №0578-მა წამით შეამჩნია, რომ რწყილას სახე აერია. არაფერი უთქვამს, სულგუნი და პური შეჭამა და თავის კამერაში დაბრუნდა. მეორე დღეს ისევ რწყილას დაადგა.

„შენ აქ თურმე მთელ ამბებში ხარ. აქეთ თუ დამეხმარები, თორემ შენ რა გიჭირს“, — გაუხარდა რწყილას.

„ჰო, ვცდილობ ბატონო, ვცდილობ. საქმე მაქვს შენთან“, — უცებ დაასერიოზულა №0578-მა და რწყილამაც ყურადღებით შეხედა.

„რაღაც მოხდა და არ მეუბნები. რაღაცები კი მესმოდა შენზე, მაგრამ... არაფერს მომიყვები?!“ — პირდაპირ ჰკითხა №0578-მა.

რწყილა მოიღუშა და ჩუმად თქვა, სხვა რამეზე ვილაპარაკოთო და მას შემდეგ ამ თემაზე კრინტი არც ერთს აღარ დაუძრავს. მერე, რწყილა რომ გაუშვეს, №0578 მის ძმაკაცს, ზონის მაყურებელს დაუჯდა და უთხრა, ახლა მაინც მოყევი, რა მოუვიდა რწყილასო. მაყურებელმა ამოიოხრა და დაიწყო: „მაგის ცოლი არ იცი შენ. ულამაზესი გოგო იყო. მთელი თბილისი შენატროდა. კი ხედავ, თავად რას ჰგავს. ჰოდა, იმ გოგოს ხელისგულზე ატარებდა და არაფერს აკლებდა. ერთ დღეს კი უთხრეს, ცოლი გღალატობსო. გადაირია, კერძო დეტექტივი დაიქირავა და ზუსტად ერთ კვირაში იმ დეტექტივმა დაუდასტურა, რომ ცოლი ვიღაც ტიპთან ღალატობდა. ჰოდა, ავიდა ერთ დღეს რწყილა სახლში იმასთან და ზედ სექსის დროს წაადგა თავზე. მეც იქ ვიყავი. ვერ წარმოიდგენ, რა დღეში ჩავარდა გოგო, მკვდრის ფერი დაედო. იმ უბედურმა ბიჭმა ალბათ არ იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე. მანქანაში ჩავსვით ორივე და „დაჩაზე“ ავიყვანეთ. ცოლი იქვე, ეზოში გააშიშვლა, შამპანურის ბოთლის თავი ოდნავ შეუყო საშვილოსნოში და ზედ წიხლი ამოარტყა. გრძნობა დაკარგა ტკივილისგან იმ ქალმა. რწყილამ გვითხრა, სადაც გინდათ, წაიყვანეთ და დაგდეთო. საავადმყოფოში წავიყვანეთ, აბა, რა უნდა გვექნა. ის ბიჭი კი იქ დაიტოვა და ის გერმანული ბრტყელტუჩაც, თურმე შენ რომ გიჩუქებია. დღემდე არ ვიცით ან ის კაცი სად არის, ან ბრტყელტუჩა. არ ამოხვიდეთო, ასე დაგვიბარა და როცა დაგვირეკა და ავედით, მთელი ტანსაცმელი სისხლში ჰქონდა მოთხვრილი“, — დაასრულა მოყოლა მაყურებელმა.

„მერე? იმ ბიჭს პატრონი არ ჰყავდა? არავინ მოძებნა? ან ის გოგო როგორ არის? არ იჩივლა?!“ — გაოცდა №0578.

„რწყილას არ იცნობ? მთელმა თბილისმა იცის, რაც მოხდა, მაგრამ ხმას ვერავინ იღებს, ამის ეშინიათ. მეორე ცოლი მოიყვანა და ახლა ზუსტად იცის, რომ არავინ უღალატებს“, — გაიღიმა მაყურებელმა.

რწყილა დღესაც ერთ-ერთი ცნობილი ბიზნესმენია საქართველოში და მილიონიან ბიზნესპროექტებს ახორციელებს.

ვერსიანიუსი

შსს-მ რუსთავში ნარკოორეალიზატორი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1986 წელს დაბადებული, წარსულში მკვლელობის მცდელობისთვის ნასამართლევი, თბილისში მცხოვრები გაიან გ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით, თბილისი-რუსთავის გზატკეცილზე, ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე 0,028 გრამი ჰეროინი უკანონოდ გაასაღა.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის პირველი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

ურეკში დამსვენებლებმა მაშველი დახრჩობას გადაარჩინეს

ურეკში მაშველები ზღვაში შესული 13 წლის გოგონას გადარჩენას ცდილობდნენ, თუმცა, გოგონას საშველად გასული მაშველი ტალღებმა გაიტაცა.

ზღვის ღელვის გამო, მაშველი ნაპირზე ვეღარ გამდიოდა, რადგან ცუდად გახდა.

პლაჟზე მყოფმა დამსვენებლებმა მაშველის გადასარჩენად ცოცხალი ჯაჭვი გააკეთეს და ის წყლიდან გამოიყვანეს.

„პირველი“

ბაქო-თბილისი-ერზერუმის მაგისტრალზე აფეთქება მოხდა

თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ყარსის პროვინციაში, სარიკამიშის რაიონში ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის მონაკვეთზე ძლიერი აფეთქება მოხდა.

ერთ-ერთი ვერსიით, გაზსადებზე ტერორისტული აქტი განხორციელდა, თუმცა, ამ დროისთვის აფეთქების ზუსტი მიზეზი ჯერჯერობით არ სახელდება. მილსადენის გავლით, გაზის მიწოდება, აფეთქების გამო შეწყვეტილია.

თურქეთის სახელმწიფო მილსადენის კომპანია ოტას, აფეთქებული მონაკვეთის აღდგენით სამუშაოებს უკვე აწარმოებს.

არსებული ინფორმაციით, აფეთქებისას მილსადენში გაზი პრაქტიკულად არ იყო, რადგან 2 აგვისტოდან მასზე გაზის ტრანსპორტირება, აზერბაიჯანში, „შაჰ დენიზის“ საბადოს პლატფორმაზე პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარების გამო იყო შეჩერებული.

„პირველი“

ქედაში ავარიის შედეგად დაშავებული მამაკაცი გარდაიცვალა

ქედაში ავარიის დროს დაშავებული მამაკაცი გარდაიცვალა. ქედის რაიონული საავადმყოფოს მენეჯერის, ქირურგ ფრიდონ სირაბიძის თქმით, პაციენტი საავადმყოფოში კრიტიკულ მდგომარეობაში, პოლიტრავმით მიიყვანეს. ექიმის განცხადებით, 50 წლამდე მამაკაცს სიცოცხლისთვის შეუთავსებელი დაზიანებები აღენიშნებოდა: **„მამაკაცი კრიტიკულ მდგომარეობაში შემოიყვანეს. აღენიშნებოდა პოლიტრავმა, სიცოცხლესთან შეუთავსებელი სხვადასხვა ორგანოების დაზიანება, ტრავმული შოკი. დაწყებული იყო რეანიმაციული ღონისძიებები, მაგრამ სამწუხაროდ, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. პაციენტს მუცლის ღრუს, გულმკერდისა და მენჯის მიდამოების ტრავმები ჰქონდა. გამოძახებული იყო რეანიმაციული ბრიგადა, თუმცა მისი გადაყვანა ვეღარ მოხერხდა“.**

ავტოავარია ქედაში 4 აგვისტოს მოხდა. „პიკაპის“ ტიპის ავტომანქანა გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და მაღლობიდან გადავარდა. მანქანა კურორტ ბეშუმიდან ბათუმის მიმართულებით მოძრაობდა. ავარიის დროს ორი მოზარდი შემთხვევის ადგილზე დაიღუპა.

„ინტერპრესნიუსი“

სლოვაკეთის საელჩო „რაჭა ჩემი სიყვარული 2“-ს გადაიღებს

მაკა ლომაძე
555-27-95-13

სლოვაკეთის საელჩო საქართველოში შარშან გაიხსნა, თუმცა უკვე საკმაოდ აქტიურად მუშაობს. „ვერსია“ დიპლომატის ტრიბუნას ამჯერად სლოვაკეთის ელჩს საქართველოში, რუდოლფ მიხალკას უთმობს, რომელიც ქვეყნებს შორის ურთიერთობებზეც გვესაუბრება და საკუთარი თავის შესახებ რამდენიმე საინტერესო დეტალსაც გვიმხელს.

ექსკლუზიური ინტერვიუ სლოვაკეთის პირველ ელჩთან საქართველოში

— საელჩო საქართველოში წელიწადზე ოდნავ მეტია გაიხსნა — 2014 წლის აპრილში. მჯერა, ჩვენთვის წარმატებული წელი იყო. ბევრი ადამიანი სლოვაკეთს უკვე ისე იცნობენ, როგორც საქართველოს სანდო პარტნიორს. იმედი მაქვს, ამ კუთხით მეტს გავაკეთებთ. ბევრი მიმართულებით ვმუშაობთ. ასევე გვაქვს ევროკავშირისა და ნატო-სკენ მიმავალ გზაზე საკმაოდ დიდი დახმარების პროგრამა, ვცდილობთ, ჩვენი გამოცდილება გაგიზიაროთ. დღეს, მაგიდაზე მიდევს შვიდი პატარა პროექტი. თქვენი ექსპერტები სლოვაკეთში მიდიან ან პირიქით, ჩვენები ჩამოდიან. სფერო სხვადასხვაა: წყლის გაფილტვრა, დემოკრატია, კანონის უზენაესობა, რეგიონული მთავრობა... ვცდილობთ, ყველა ასპექტი მოვიცვათ.

ასევე გვაქვს მცირე პროექტების ოთხი პროგრამა — თითოეული 5000 ევროს შეადგენს. ვთანამშრომლობთ ფოკის მონასტერთან ჯავახეთში, სადაც მონაზვნები ცდილობენ, ადგილობრივ სომეხ ბავშვებს ქართული ენა შეასწავლონ. ვფიქრობ, ეს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო საქმეა, რასაც ვაკეთებთ. ასეთი პროექტები საშუალებას გვაძლევს, უფრო ახლო კავშირში ვიყოთ მოსახლეობასთან; ასევე დავეხმარეთ ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრებს ევროპისა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან ერთად.

გვაქვს უფრო დიდი, რამდენიმე ათეულ ათასევროიანი პროექტებიც. ერთ-ერთი მათგანი „ევროპული კონვენციის“ ნაწილია, რომელიც უზარმაზარი საჯარო დებატების დასაწყისი, ევროკავშირის საკითხებზე. ეს პროექტი სლოვაკეთში ძალიან წარმატებული იყო და მისი ექსპორტი ბალკანეთის ქვეყნებშიც მოვახდინეთ. ევროპა არის დიდი დებატების არეალი ევროკავშირის საკითხებზე არასამთავრობო სექტორს, მთავრობას და მოსახლეობას შორის, ამიტომ ამ პროგრამას დიდი ინტერესით ველი. პოლიტიკურად, რა თქმა უნდა, სლოვაკეთი მთლიანად მხარს უჭერს თქვენს ინტეგრაციას ევროპისა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში. იმედი მაქვს, მეტი ქართველი ტურისტი გვეყოლება ევროპაში მას მერე, რაც უვიზო რეჟიმი დაწესდება და ეს 2016 წელს ნამდვილად მოხდება.

— საქართველოსთან სლოვაკეთი ეკონომიკური თვალსაზრისითაც თანამშრომლობს?

— დიახ. ეკონომიკა მნიშვნელოვანი სფეროა. ჩემი ყველაზე დიდი წარმატება იყო ქართული ბიზნესმისია ბრატისლავაში, ივნისში გამართულ ბიზნესფორუმზე უსაფრთხოების უზარმაზარი კონფერენციის ფარგლებში, რომელსაც თქვენი პრეზიდენტი 20 ქართველ ბიზნესმენთან ერთად ესწრებოდა. ისინი შეხვდნენ ბევრ სლოვაკ პარტნიორს, სლოვაკეთის ეკონომიკის მინისტრს, ასევე, სლოვაკეთის ბიზნესსააგენტოს წარმომადგენლებს. ჯერ ადრეა შედეგებზე საუბარი, მაგრამ საქმე რომ დაიძრა, უკვე კარგია. იმედი მაქვს, ორივე მხრიდან იქნება ინვესტიციები თუნდაც ექსპორტ-იმპორტის სფეროში.

ნოემბერში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ეწვევა ჩვენს ქვეყანას და ასევე ჩეხეთს. ეს, ჩვენი ეკონომიკური ურთიერთობების ერთგვარი გაგრძელება იქნება.

— ელჩად როგორ დაინიშნეთ?

— დავამთავრე ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტი. ელჩად საკმაოდ ახალგაზრდა, 42 წლის ასაკში დავინიშნე. მანამდე, კვიპროსსა და თურქეთში ელჩის მოადგილედ ვმუშაობდი. მიხარია, რომ ამ ასაკში უკვე მისიის ხელმძღვანელი გავხდი და ისიც მიხარია, რომ საქართველო „მერგო“. ეს არის მშვიდი, მეგობრული ქვეყანა. უამრავი საქმე მაქვს და ამ პოსტს იოლს ნამდვილად ვერ ვუწოდებ, მაგრამ ეს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის აქ მუშაობას. ახალი საელჩოა და რასაც ვაკეთებ, ყველაფერი ახალია, რადგან წინამორბედი არ მყოლია.

პირველმა შთაბეჭდილებებმა უკვე ჩაიარა. ახლა უკვე ვეჩვევი, რადგან აქაური მუშაობის და ცხოვრების სტილი განსხვავებულია — ვგულისხმობ თქვენს მენტალობასა და ხასიათს. ზოგი რამ ძალიან მომწონს, ზოგი ნაკლებად, რაც ბუნებრივია. არც ერთ ხალხს არ შეგადარებთ. ყველა თავისებურია. ძალიან მეგობრულები ხართ და ნამდვილად სიამოვნებაა აქ ცხოვრება. ვცდილობ, მეც ასევე თბილად ვუპასუხო ქართველებს. ყველა ფენის ადამიანებთან ვმეგობრობ.

მთელი ქვეყანა არ მინახავს, მაგრამ დიდ ნაწილს უკვე ვეწვიე. ჩემი ყველაზე საყვარელი ადგილი გუდაურია, რადგან თავგადაკლული მოთხილამურე ვარ. იმედი მაქვს, ეს კურორტი უფრო განვითარდება. აგვისტოში, ძალიან მინდა, მესტია ვნახო. მიყვარს რაჭა და კახეთი. რაჭა რომ მიყვარდეს, ამის მიზეზიც არსებობს: ჩვენ, სლოვაკებსაც ხომ გვაქვს ჩვენი რაჭა, ოღონდ სოფელი?

— როგორც ვიცი, ამასთან დაკავშირებით, გეგმები გქონდათ...

— ძალიან საინტერესო პროექტი მაქვს: როგორც იცით, წლების წინ, ქართულ-სლოვაკური ერთობლივი ფილმი „რაჭა, ჩემი სიყვარული“ გადაიღეს. ახლა მსურს, მეორე სერია გადავიღოთ. ქართველი რეჟისორი და პროდიუსერი უკვე შერჩეული გვყავს — ქეთი მაჭავარიანი და ვლადიმერ კაჭარავა. მინდოდა, ეს ფილმი კომედია ყოფილიყო, მაგრამ ეს საკმაოდ რთულია — უფრო ადვილია, ხალხი აატირო, ვიდრე გააცინო. მინდოდა, უფრო გამეხალისებინა მაყურებელი ამდენი დრამის მერე. თუმცა, ჯერ ჟანრი ცნობილი არ არის. ეს ჩემი პირადი იდეაა. სლოვაკეთში არც ისე კარგად იცნობენ ამ ფილმს, მაგრამ საქართველოში ძალიან უყვართ. ახლა ვმუშაობთ ფილმის იდეაზე, მსახიობების შერჩევაზე, ასე რომ, ჯერ მხოლოდ საწყისი ეტაპია. მეორე ეტაპი იქნება ფულის მოძიება, მით უმეტეს, ეს არ იქნება მცირებიუჯეტიანი ფილმი. მთავარია, ორმხრივი მოლაპარაკებები მიმდინარეობს. იმედია, სანამ წავალ (საქართველოში კიდევ სამი წელი ვიქნები) ეს ფილმი გამოვა. რა თქმა უნდა, ეს უფრო მჭიდროს გახდის ორმხრივ ურთიერთობებს. მთავარი მიზანი, მსოფლიოში საქართველოსა და სლოვაკეთის პროპაგანდა იქნება — ტურისტების მოზიდვის მიზნით, ფილმში ავსახავთ ამ ქვეყნების ლამაზ ადგილებს, რომ მეტი ტურისტი ჩამოვიდეს. რაჭის გარდა, გვინდა, კადრში თბილისი და საქართველოს სხვადასხვა რეგიონი ჩანდეს. თუ ტურიზმის კუთხით იქნება საინტერესო, ევროკავშირი უფრო იოლად დაგვაფინანსებს.

— საქართველოს ლამაზ ადგილებზე სიამოვნებით საუბრობთ... ჩვენ ქვეყანაში თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?

— ვცდილობ, ბევრი ვიმოძრავო, რადგან თქვენი სამზარეულო საკმაოდ მძიმეა. ფორმის შესანარჩუნებლად სიარული და ვარჯიშია საჭირო. სპორტსაც მივდევ.

— თბილისში მარტო ცხოვრობთ?

— დიახ, მარტო ვცხოვრობ, რადგან ამჟამად დაქორწინებული არ ვარ, მყავს ორი გოგონა — 10 წლის კაროლინა და 12 წლის მარტინა. შარშან ბათუმში წავიყვანე დასასვენებლად, მერე ერთი კვირით თურქეთშიც გადავედით. ჩემი გოგონები მენატრება, მაგრამ თუ ძალიან მომინდება, რამდენიმე საათში შემიძლია ჩავფრინდე მათთან. სამშობლოს ნოსტალგია ისე აღარ მაწუხებს, რადგან ახლა კომუნიკაციის უამრავი საშუალებაა.

— გაგვიმხელთ თქვენ ჰობის?

— კერძების მზადება ძალიან მიყვარს. ჯერ არ დამიწყია, მაგრამ წასვლამდე აუცილებლად ვისწავლი ქართულ კერძების მომზადებას. დიპლომატის ცხოვრება ძალიან საინტერესოა, მაგრამ არც ისე იოლი, რადგან სულ სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობ. მერე, როცა სამშობლოში ბრუნდები, ის ქვეყნები გენატრება. ამიტომ, აუცილებლად ვსწავლობ იმ ქვეყნის კერძების მომზადებას და მერე, სამშობლოში ვამზადებ ხოლმე, რომ აღვიდგინო იქ გატარებული წლები. ზოგადად, მიყვარს იმ ქვეყნის კულინარიის დაგემოვნება, რომელშიც ვარ. თქვენი კულინარია ნამდვილად მდიდარია.

ასევე მიყვარს კითხვა. ახლა, ჩარლზ ბუკოვსკის ვკითხულობ. პატარაობაში, კარგად გამომდიოდა ლექსების საჯაროდ კითხვა და შეჯიბრშიც ვმონაწილეობდი. ახლა პოეზია ნაკლებად მიტაცებს. ბოლო დროს უფრო რეალისტური წიგნები შემიყვარდა, მემუარებიც... არ მიყვარს კრიმინალური ჟანრი. ახლახან წავიკითხე იონას იოჰანსონის რომანი „100 წლის კაცი, რომელიც ფანჯრიდან გადახტა და გაუჩინარდა“. აუცილებლად უნდა წაიკითხოთ, ძალიან გაერთობით.

ე.წ. სამხრეთ ოსეთი ქართული დროშის დაბრუნებაზე უარს აცხადებს

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე.წ. პრეზიდენტის წარმომადგენლის მურატ ჯიოევის განცხადებით, ე.წ. სამხრეთ ოსეთი საქართველოსთვის დროშის დაბრუნებას არ აპირებს.

ჯიოევმა ქართული დროშის შესახებ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე.წ. პრეზიდენტთან თათბირის შემდეგ ისაუბრა და აღნიშნა, რომ ქართული დროშა ე.წ. სასაზღვრო ბანერების ადგილზე უკანონოდ იყო განთავსებული: **„ქართული დროშა და პროკლამაციები მიმაგრებულია სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც აღძრულია სამხრეთ ოსეთში, ჯგუფის მიერ სახელმწიფო საზღვრის დარღვევის ფაქტზე, ასევე, სამხრეთ ოსეთის სიმბოლოების მიმართ განხორციელებული ვანდალიზმის ფაქტზე“.**

დე ფაქტო პრეზიდენტის წარმომადგენლის თქმით მიუხედავად საქართველოს წარმომადგენლების არაერთი თხოვნისა, დროშა ქართულ მხარეს არ დაუბრუნდება: **„ის ჩამოხსნეს ხალხის თვალწინ, სხვა ქვეყნის სახელმწიფო სიმბოლოს მიმართ შეურაცხმყოფელი ქმედებების გარეშე. ის ნივთმტკიცებაა, რომელიც მიმაგრებულია სისხლის სამართლის საქმეზე“.**

„პირველი“

უშბაზე დაღუპული ბელარუსი ტურისტის ცხედარი მესტიაში გადაასვენეს

უბედური შემთხვევის შედეგად 3 აგვისტოს უშბაზე გარდაცვლილი ბელარუსი ტურისტის ცხედარი მესტიაში გადაასვენეს.

მეორე ტურისტი კი უვნებლად გადარჩა, თავს კარგად გრძნობს და ისიც მესტიაში იმყოფება.

მაშველებმა რამდენიმესაათიანი ოპერაცია წარმატებით დაასრულეს და ერთი ბელარუსი ტურისტი მთიდან უვნებლად ჩამოიყვანეს.

3 აგვისტოს, უშბაზე ქვების ცვენა მოხდა, რის შედეგადაც ერთი ბელარუსი ტურისტი ადგილზე გარდაიცვალა. სამაშველო ოპერაცია სვანეთში იმავე დღიდან მიმდინარეობდა.

„პირველი“

ფრანგმა მებაჟეებმა პაბლო პიკასოს ნახატი აღმოაჩინეს

ფრანგმა მებაჟეებმა 27 მილიონ დოლარად შეფასებული პაბლო პიკასოს ნახატი აღმოაჩინეს. „ახალგაზრდა ქალის პორტრეტი“ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული შედევრია. „გარდიანის“ ცნობით, იგი იმ გემის ბორტზე აღმოაჩინეს, რომელიც კორსიკაში შევიდა. კაპიტნის მტკიცებით, ნახატი მფლობელის თანხმობით, ესპანეთიდან შვეიცარიაში გადაჰქონდა, თუმცა თანხმობის შესახებ ოფიციალური დოკუმენტი ვერ წარადგინა. მეტიც, ნახატთან ერთად საბაჟო სამსახურის წარმომადგენლებმა აღმოაჩინეს დოკუმენტი ესპანეთის სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ, რომლის მიხედვითაც, პიკასოს შედევრის ქვეყნიდან გატანა აკრძალულია. ნახატი ესპანელ ბანკირს — ჰაიმე ბოტენს ეკუთვნის. საფრანგეთის საბაჟო სამსახური ოფიციალური მადრიდისგან ნახატის უკან დაბრუნების შესახებ პასუხს ელოდება.

„ინტერპრესნიუსი“

მაკა ლომაძე
555-27-95-13

რა ღირს თბილისში დასვენება

დედაქალაქის აუზები, განსხვავებული პირობებითა და ფასებით

თუ ვერ ახერხებთ, ზაფხულის მწველ მზეს მთაში ან ზღვაზე „დაემალოთ“, თუ შვებულება არ გაქვთ ან სხვა მიზეზის გამო ვერ გადიხართ დედაქალაქიდან, ეს სტატია აუცილებლად უნდა წაიკითხოთ. „ვერსია“ დაინტერესდა, რამდენად და რა ფასადაა შესაძლებელი თბილისში დასვენება და რადგან პაპანაქება სიცხეში დასვენება გაგრილებასთან ასოცირდება, ჩვენი ყურადღების ცენტრში აუზები მოექცა. საინტერესოა, რა პირობები გვხვდება აუზებზე და რა თანხა უნდა გვედოს ჯიბეში, რომ ქალაქიდან გაუსვლელად, შაბათ-კვირას მაინც ვიგრძნოთ შვება.

ვაკის ანუ „ბენდუქიძის აუზი“ დახურულ აუზებს შორის თბილისელებში პოპულარობითაც სარგებლობს და პრესტიჟულადაც მიიჩნევა. ამის მიზეზი სავარაუდოდ ისიცაა, რომ აუზი საკმაოდ დიდია — 50 მეტრის სიგრძისა და 2-6 მეტრი სიღრმის. აუზის ადმინისტრაციაში ამტკიცებენ, რომ მათთან სისუფთავის სტანდარტები დაცულია და წყალი უსაფრთხოა ალერგიული ადამიანებისთვისაც კი, რადგან „წყლის ცირკულაცია ყოველდღიურად ხდება და ღამით, ლაზერით იწმინდება“. „ბენდუქიძის აუზზე“ შესვლა, ერთჯერადად, 60 ლარი დაგიჯდებათ. ამ ფასში შედის ტრენაჟორებიც, საუნაცა და ჯაკუზიც. აუზი დილის 7-დან ღამის 11 საათამდე მუშაობს, თუმცა, 24 აგვისტოდან სექტემბრამდე დაიხურება.

თბილისელები ხშირად სტუმრობენ ასევე კრწანისის რეზიდენციის ღია საცურაო აუზს. აქ შესვლა, სამუშაო დღეებში 30, შაბათ-კვირას კი 40 ლარი დაგიჯდებათ. ფასში შედის 2 პირსახოცი, შეზლონგი და სპორტდარბაზი. მოქმედებს საabონენტო სისტემაც: 1-თვიანი 250 ლარია, ყოველდღიური ულიმიტო კი — 450. სხვათა შორის, ამ აუზზე აქციებიც ხშირად მოქმედებს — swoop.ge-ზე და HoTsale.ge-ზე, 1 ლარად შეძენილი ვაუჩერით, აუზზე 19 ლარად შეძლებთ შესვლას.

საკმაო პოპულარობით სარგებლობს „სამერ-თაიმი“, ე.წ. ჯიქიას აუზი. აქ მხოლოდ ცურვაა შესაძლებელი, თუმცა არის გარუჯვის საშუალებაც. შარშანდელთან შედარებით, ერთჯერადი შესვლა 1 ლარით გაიაფდა და 14 ლარია. თუმცა, შაბათ-კვირას 17 ლარის გადახდა მოგიწევთ. აუზზე შეგიძლიათ მთელი დღე დაყოვნდეთ. აქ დიდი აუზის სიღრმე 1.7-3 მეტრია, თუმცა აქვეა მომცრო აუზი პატარებისთვის. ასე რომ, დილის 8-დან საღამოს 8 საათამდე, აქ ოჯახთან ერთად შეიძლება დაისვენოთ და გაგრილდეთ. „სამერ-თაიმს“ 22 წლის **თათა წაქაძე** ხშირად სტუმრობს. მან ჯერ კიდევ ვერ მოახერხა ქალაქგარეთ გასვლა და მეგობრებთან ერთად ცდილობს, როგორმე აუზზე მაინც განიტვირთოს: **„აქ დავდივარ. კარგი სიტუაციაა და გაგრილებისა და გართობის კარგი საშუალებაცაა. აქ ყოველთვის ბევრი ხალხია. 14 ლარია შესვლა, მაგრამ პირველად როცა მოვედი, დამატებით 10 ლარი, ექიმის ცნობა დამიჯდა. აქ სისუფთავეა. ჩემი მეგობრები აქაც დადიან ხოლმე და ნატახტარშიც — ერთ-ერთ სასტუმროში ღია აუზზე შესვლა 10 ლარი ღირს და ხელოვნური პლაჟიც აქვს“.**

ორთაჭალაში, გორგასლის მესამე შესახვევში კი თბილისელებს კიდევ ერთი აუზი — „სპორტ-თაიმი“ ელოდება. აქ არის ტრენაჟორები, აკვა და ჩვეულებრივი აერობიკაცა და საუნაც. „სპორტ-თაიმში“ ერთჯერადად შესვლა 20 ლარია (აქციის ფარგლებში — 15 ლარი). 12 შესვლა 190 ლარი დაგიჯდებათ, ოღონდ ამ ფასში მხოლოდ ცურვა იგულისხმება. თუ აკვააერობიკა გაინტერესებთ, დამატებით, 12 ვიზიტზე, 90 ლარი უნდა გადაიხადოთ, ჩვეულებრივ აერობიკაზე კი 60.

თუ ცურვა ჯერ კიდევ არ იცით და სწავლა გსურთ ან გინდათ, სპორტის ამ სახეობაში უფრო დახელოვნდეთ, მაშინ „არენა 1“-ს (ყოფილი „სკა“) ან „არენა 2“-ს (ყოფილი „ქარიშხალა“) უნდა ესტუმროთ. ორივეს დახურული აუზი აქვს. თუმცა, „არენა 1“-ში ჯაკუზი, საუნა და ტრენაჟორებიც გელით. აქ ერთჯერადად შესვლა 15 ლარი დაგიჯდებათ. თუ აბონემენტს შეიძენთ, 8 ვიზიტში 112 ლარის გადახდა მოგიწევთ, 10 ვიზიტში – 152 ლარის, ულიმიტო აბონემენტში კი, 168 ლარი უნდა გადაიხადოთ.

„არენა 2“ ცურვის მოყვარულებს 25-მეტრიან აუზს სთავაზობს, რომელიც დილის 7 საათიდან, საღამოს 9 საათამდე მუშაობს. 1-თვიანი აბონემენტი 7-დან 13 სთ-მდე 100, 7-დან 21 სთ-მდე კი 120 ლარი ჯდება. აქ ბავშვებს სპორტული ცურვის გაკვეთილებსაც უტარებენ — 12 გაკვეთილი 150 ლარი ღირს.

„ვერსიამ“ შუაგულ თბილისში მოძრავსახურავიანი აუზიც აღმოაჩინა, რომელიც ზაფხულში ღია, ზამთარში კი დახურული ტიპისაა — კომპლექსი „ნეპტუნი“, ვაკის პარკის აყოლებაზე, კუსტბის გადასახვევის მოპირდაპირედ მდებარეობს. აქ მაღალი დონის მომსახურებაა, ფასი კი სოლიდური. მაგალითად, 10-დღიანი „აკვა-სიამოვნება“ 202 ლარი დაგიჯდებათ, 20 შესვლა ორი თვის განმავლობაში — 400 ლარია. ყოველდღიური ორთვიანი პაკეტი — 600 ლარი ღირს, ერთთვიანი სრული კი 400. აუზის ტერიტორიაზე არის შეზლონგები, სამასაჟო, ექიმის ოთახი, კაფე. მითითებულ ფასებში, ცურვის გარდა, შედის ტრენაჟორები, საუნები, შეზლონგი, პირსახოცი და ზეწარი.

ყიფშიძის ქუჩის აუზი „სისაიდი“, 10 აგვისტოდან დაიკეტება. აქაც დახურული აუზია. 1 შესვლა 6 საათამდე 15 ლარია, 6-ის მერე კი — 20 ლარი. ფასდაკლების ფარგლებში, 6 ვიზიტი 36 ლარი ღირს, რაც საკმაოდ სარფიანი წინადადებაა. მითუმეტეს, ვიზიტებში შედის ტრენაჟორებიც.

საკმაოდ ხელმისაწვდომია ოლიმპთან არსებული საცურაო აუზი პოლიტკოვსკაიას (ყოფილი ჯიქიას) ქუჩაზე — ერთჯერადი შესვლა მხოლოდ 10 ლარია. შეზლონგის აღების შემთხვევაში, მხოლოდ 2 ლარს ამატებთ. იქვე, გარეკაფეც ფუნქციონირებს. აბონემენტით, 12 შესვლა 105 ლარი ჯდება, აქ აუზის სიღრმე მხოლოდ 1.40-1.90.-ია, რაც ბავშვების მიღების საშუალებასაც იძლევა.



სიმსუქნე, ეპილეფსია და კიბო გენეტიკურ ანომალიად აღიარეს!

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

არცთუ შორეულ წარსულში მეცნიერებმა დღეგრძელობის გენი აღმოაჩინეს, რომელიც ხანგრძლივი სიცოცხლის საიდუმლოს ინახავს... თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მზა რეცეპტი — როგორ გავახანგრძლივოთ ჩვენი ამქვეყნიური ყოფა, არსებობს, მით უმეტეს, იმ ფონზე, რომ გენეტიკურად ადამიანებს მხოლოდ დღეგრძელობა კი არა, სხვადასხვა დაავადებაც გადმოგვეცემა. სწორედ ესაა საინტერესო — რა არის დღეისთვის ცნობილი გენების შესახებ. დადასტურებულია, რომ ადამიანს გენეტიკურად გადაეცემა გარეგნობა, ხასიათი, დაავადებები... გენებზეა დამოკიდებული ბავშვის სქესი, სიმაღლე, მიდრეკილება ღალატისკენ და რელიგიური შეხედულებებიც კი, მაგრამ რამდენადაა მზად თანამედროვე მეცნიერება ამ გამოწვევას ბრძოლა გამოუცხადოს და თან გამარჯვებულიც დარჩეს?!

ფაქტია — გენეტიკის თანამედროვე ხარისხი, მეცნიერთა უკანასკნელი პერიოდის კვლევები და დიაგნოსტიკის მეთოდები კონკრეტული ადამიანის ყოველი გენის კვლევის საშუალებას იძლევა, თუმცა გენეტიკური დაავადებები სიმშვიდის საფუძველს ნამდვილად არ იძლევა.

გენეტიკური დაავადებები კი ერთ კონკრეტულ გენში ცვლილებების შედეგად ჩნდება. დღეისთვის ასეთი 3 500 დაავადებაა აღმოჩენილი და მათ შორის ნახევრის შემთხვევაში დამნაშავე ერთი გენია, თუმცა რომელი გენი აღმოჩნდება ძლიერი და „თავს შემოინახავს“ მომავალი თაობებისთვის — ამის განჭვრეტა საკმაოდ რთულია. ზოგიერთი გენი საფუძვლიანადაა შესწავლილი და სპეციალისტებს ძალუძთ მათი დაბლოკვაცა და „ამუშავებაც“, მაგრამ ჯერ კიდევ უამრავი გენია შეუსწავლელი და მათ დღემდე იკვლევენ.

დღეგრძელობის გენი

ჰარვარდის სამედიცინო სკოლის მეცნიერებმა აღმოაჩინეს და ის, ფაქტობრივად, 10 გენის ერთობლიობის შედეგია. კვლევა 91-დან 109 წლამდე ადამიანებზე ჩატარდა და მათი გენების შესწავლის შედეგად ყოველ მათგანს „ქრომოსომი 4“ აღმოუჩინეს. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ სწორედ ეს ქრომოსომია იმ ათი გენის „ნაზავი“, რომელიც გავლენას ახდენს სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. ეს გენები, თავიანთ მატარებლებს ეხმარება წარმატებით შეებრძოლონ კიბოს, გულისა და სხვა დაავადებებს.

მეცნიერები კი სამომავლოდ აპირებენ, გამოყონ ის ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც ამ გენებს წარმოქმნის და მათ საფუძველზე შექმნან პრეპარატი ასაკოვანი ადამიანებისთვის. ამ სამუშაოს ძირითადი მიზანი სიცოცხლის გახანგრძლივება კი არა, ასაკობრივი დაავადებებისა და ტკივილის თავიდან აცილებაა. ბოლო 20 წელი ადამიანმა ტკივილის გარეშე რომ გაატაროს, საჭიროა გენები, რომელთაც შეუძლიათ, შეებრძოლონ სხვადასხვა დაავადებას.

ეპილეფსიის მიზეზები

როგორც წესი, ეპილეპტიკური გულყრის გამომწვევი მიზეზის დადგენა შეუძლებელია, მით უმეტეს, ზოგიერთ შემთხვევაში ექსპერტები საუბრობენ იდიოპათიურ ეპილეფსიაზე. მელბურნის უნივერსიტეტის სპეციალისტების თაოსნობით შექმნილმა მეცნიერთა ჯგუფმა გაარკვია, რომ იდიოპათიური ეპილეფსიის 12% გენ DEPDC5-ის მუტაციითაა გამოწვეული.

გენების მუტაცია და კიბო

ერთ-ერთი საშუალება, დადგინდეს საკვერცხეების კიბოს წარმოქმნის ალბათობა — სპეციალური ანალიზია, რომელიც იტყობინება BRCA1 და BRCA2 გენების მუტაციის შესახებ. ეს ანალიზი იმ ქალებისთვისაა განკუთვნილი, რომელთათვისაც საკვერცხის კიბო გენეტიკური რისკფაქტორია. და სხვათა შორის, სწორედ ამ გარემოებამ აიძულა ჰოლივუდის ვარსკვლავი ანჯელინა ჯოლი, რომელსაც დედა საკვერცხის კიბოთი, დეიდა კი ძუძუს სიმსივნით გარდაეცვალა, ამოეკვეთა სარძევე ჯირკვლები.

სიმსუქნე და შთამომავლობა

კიდევ ერთი პრობლემა რომელიც მსოფლიოს აწუხებს და მეცნიერები დღემდე ამაოდ ებრძვიან მას — სიმსუქნეა. მკვლევარები ცდილობენ, საკითხი მხოლოდ დიეტითა და ფიზიკური დატვირთვით კი არა, გენეტიკურ დონეზეც გადაჭრან მით უმეტეს, რომ ცნობილია — სიმსუქნისკენ მიდრეკილება იმ ადამიანებს უჩნდება, რომელთაც ერთგვარი დეფექტი აღენიშნებათ გენში FTO. ეს გენი არღვევს „შიმშილის გენის“ — გრელინის ბალანსს, რაც მადის დარღვევას განაპირობებს და ადამიანი იძულებულია, შიმშილის დასაკმაყოფილებლად სულ უფრო მეტი საკვები მიიღოს. სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ შექმნიან პრეპარატს, რომელიც დააქვეითებს ორგანიზმში გრელინის კონცენტრაციას.

გენეტიკა და გონებრივი შესაძლებლობები

არცთუ დიდი ხნის წინ ჩინელმა მეცნიერებმა განაცხადეს, რომ ეძებენ „ჭკუის გენს“, მთავარი ამოცანა კი ისაა, ისწავლონ ისეთი ჩვილების „გამოყვანა“, რომლებიც ნიჭიერები იქნებიან ზუსტ მეცნიერებებში, ეს პროცესი კი საბოლოოდ საგრძნობლად აამაღლებს მთელი ჩინური ნაციის ინტელექტს.

დაბერების გენი

გენი p66Shc ხელს უწყობს ორგანიზმის დაბერებას, მაგრამ მისი შესწავლის შედეგად მეცნიერები მოულოდნელ დასკვნამდე მივიდნენ — გაირკვა, რომ სიბერის გენი არა მხოლოდ ნელნელა კლავს ჩვენს ორგანიზმს, არამედ ერთგვარი დამცავი მექანიზმია შიმშილისა და სიცივის დროს.

მეცნიერულად უკვე დადასტურებულია, რომ ყოველი ადამიანი იდუმალი მატარებელია მინიმუმ ხუთი გენეტიკური დაავადებისა, მაგრამ იმისთვის, რომ რომელიმე მათგანი მომავალ თაობას გადაეცეს, მეორე მშობელსაც უნდა აღენიშნებოდეს იმავე გენში პათოლოგიური ცვლილებები. ასეთი „შეხვედრის“ ალბათობა კი ძალიან მცირეა, ამიტომ ექსპერტები დარწმუნებულები არიან — თეორიული რისკი, გააჩინოს ავადმყოფი ბავშვი, აქვს ნებისმიერ წყვილს, მაგრამ მისი მაჩვენებელი 5%-ს არ აღემატება. უმრავლეს შემთხვევაში გენეტიკური ანომალიებით ბავშვის გაჩენა — ამ პროცესის განჭვრეტა ფაქტობრივად შეუძლებელია. გარდა ამისა, ოჯახს, სადაც გენეტიკურმა ანომალიებმა უკვე იჩინა თავი, აქვს შანსი, გააჩინოს აბსოლუტურად ჯანმრთელი ბავშვი. გენეტიკური დაავადების რისკის გათვლა კი მხოლოდ ექიმ გენეტიკოსს შეუძლია, მაგრამ ამისთვის აუცილებელია გენეალოგიისა და წინაპრების სამედიცინო ისტორიის ცოდნა.

ლაშა ტუღუში: „სასაზღვრო ზოლზე მიწების რეგისტრაცია სწრაფად უნდა დასრულდეს“

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე ლაშა ტუღუში მიიჩნევს, რომ კონფლიქტის ზონებში მიწის რეგისტრაციის დაჩქარებით, იძულებით გადაადგილებულ პირებს მეტი ბერკეტი ექნებათ, საერთაშორისო სასამართლოების მეშვეობით თავიანთი სიმართლე დაამტკიცონ და კომპენსაცია მიიღონ.



— რას გულისხმობს და რა პრობლემებს გადაჭრის მიწის რეგისტრაცია?

— იგულისხმება იმ ტერიტორიების რეგისტრაცია, რომლებიც გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარეობს. მუშაობაა საჭირო, რომ ეს ტერიტორიები კერძო საკუთრებაში გადავიდეს. ამით ადამიანებს საშუალება მიეცემათ, საერთაშორისო სასამართლოებში იდავონ და თავიანთი სიმართლე დაამტკიცონ.

— რეგისტრაცია თანხებთანაა დაკავშირებული, ეს ნებაყოფლობითია თუ სავალდებულო?

— სავალდებულო არ არის, ამ პროცესს სჭირდება რუკები, ნახაზები... მოსაწესრიგებელია იურიდიული მხარეც. საქმეში ჩართულია მსოფლიო ბანკიც, თუმცა კარგი იქნება, თუ სახელმწიფო ამ ადამიანებს გაუადვილებს ტექნიკურ პროცედურებს და მიწების რეგისტრაცია მოხდება შეღავათიან პირობებსა და მოკლე დროში. სახელმწიფოს როლი უმნიშვნელოვანესია.

— პირველ რიგში რომელი ტერიტორიების რეგისტრაციაა აუცილებელი?

— საოკუპაციო ხაზის გასწვრივ დაახლოებით 51 სოფელია და საჭირო ზომებიც უპირველესად აქ უნდა მიიღონ; ასევე საჭიროა იმ ფართების დაკანონება, რომლებიც გამყოფი ხაზისმიღმა ანუ იქ მდებარეობს, სადაც ახლა საოკუპაციო რეჟიმია.

— როგორ უნდა მოხდეს მიწების რეგისტრაცია აფხაზეთსა და ცხინვალში, სადაც ქართველებს სათოფეზეც არ აკარებენ?

— ამას მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, ეს ადამიანები წლების წინ ნამდვილად იქ ცხოვრობდნენ, ჰქონდათ მიწები და სახლები. შესაძლოა, ახლა იქ ველარ შედიან, მაგრამ ტექნიკურად ამის მოგვარება შესაძლებელია.

— ყოფილა პრეცედენტი, იძულებით გადაადგილებულ პირებს ეჩივლათ და კომპენსაციაც მიეღოთ?

— მიწების რეგისტრაციის შედეგი ის არის, რომ ამ ადამიანებმა იჩივლონ და მოსთხოვონ კომპენსაცია ოკუპანტს. ამის პრეცედენტი ნამდვილად ყოფილა, განსაკუთრებულს არაფერს ვამბობ. ამ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ ბერკეტი, რომლითაც მათ უფლებებს აღადგენენ. მიწის რეგისტრაცია სწორედ ერთ-ერთი ბერკეტია. ქართულმა სახელმწიფომ უკვე გადადგა გარკვეული ნაბიჯები. პროცესში ჩართულია შერიგებისა და იუსტიციის სამინისტროები, თუმცა ტემპი უნდა დაჩქარდეს და ეს ფორმალური ნაწილი დროზე დასრულდეს.

— როგორ უნდა მოიქცეს იძულებით გადაადგილებული პირი, რომელმაც უკვე დაარეგისტრირა მიწა? ვის მიმართოს და როგორ მიიღოს კომპენსაცია?

— არიან ახალგაზრდა იურისტები, უფლებადამცველები და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც დაიცავენ ასეთი ადამიანების უფლებებს. შესაძლებელია საერთაშორისო ორგანიზაციებმა თავად მოძებნონ ასეთი ადამიანები. მექანიზმის მოძებნა მარტივია. მთავარია, არსებობდეს მყარი საფუძველი მექანიზმის ასამუშავებლად. ჩვენს ქვეყანაში არის სხვადასხვა პრეცედენტები, მაგალითად, როცა 2006 წელს განხორციელდა ჩვენი მოქალაქეების წინააღმდეგ დევნა, აღიძრა საქმე და ქართულმა მხარემ მოითხოვა კომპენსაცია.

— ალბათ რუსეთიდან ქართველების დეპორტს გულისხმობთ... ფიქრობთ, ქართული მხარე ამ კომპენსაციას მიიღებს?

— რა თქმა უნდა, მიიღებს. არსებობს ბერკეტები, ეს პროცესი ბოლომდე მიიყვანონ. რუსეთი საერთაშორისო სისტემაშია ჩართული და ადრე თუ გვიან, იძულებული გახდება, გადაიხადოს.

— ხურვალეთში ქართული ბანერების დადგმა, თქვენც პროვოკაციაზე წამოგებად მიგაჩნიათ?

— ვითარება რთული და მტკივნეულია. ადამიანები, დამოკიდებულებას ხანდახან ასეც გამოვხატავთ. ხურვალეთში ჩასვლა და ამის გაკეთება ძალიან ადამიანური იყო. ვფიქრობ, ყველა ასე მოიქცეოდა, რიგითი მოქალაქით დაწყებული, მინისტრით დამთავრებული. უბრალოდ, ზოგ შემთხვევაში, როცა გაქვს სხვა ტიპის პასუხისმგებლობა, ასეთი ფორმით შეიძლება არ გააკეთო და დამოკიდებულებაც გასაგები იქნება. ზოგადად კი, ჩემი აზრით, პირველ რიგში, საჭიროა მიწის რეგისტრაციის საკითხის დარეგულირება. მნიშვნელოვანია ფინანსური საკითხიც. ქვეყანა, რომელსაც გარკვეული ფინანსური პასუხისმგებლობა ეკისრება, მაინცდამაინც ბედნიერი ვერ იქნება, ამიტომ ესეც ბერკეტია; კიდევ ერთი ბერკეტია ის, რომ, როდესაც ქვეყნის წინააღმდეგ სასამართლოში მიდის საქმე, ეს მის რეპუტაციას აზიანებს. ზოგი ფიქრობს, რუსეთს არ აქვს ინტერესი, გამოჩნდეს მორალურად მართალ ქვეყნად. ეს არასწორი ლოგიკაა, რადგან ისინი მილიარდებს ხარჯავენ საკუთარი ქვეყნის პროპაგანდაზე. ამ მიმართულებითაც უნდა ვიმოქმედოთ. ჩვენი ვალია, ვაჩვენოთ საერთაშორისო საზოგადოებას, რამდენად აგრესიულად იქცევიან ისინი. აქ საუბარი დიდი ქვეყნების ჭიდილზე კი არა, უბრალო ადამიანებზეა. სხვათა შორის, ბოლო დროს, დასავლურ მედიაში არაერთი პუბლიკაცია გამოქვეყნდა, თუ როგორი აგრესიული პოლიტიკა აქვს რუსეთს და არაადამიანურად ექცევა ჩვეულებრივ ადამიანებს.

— დასავლური მედია ხშირად წერს რუსეთზე უარყოფით კონტექსტში, მაგრამ ჩვენთვის მაინც არაფერი იცვლება.

— ეს არის პროცესი, რომელიც, რიგ შემთხვევაში, შეიძლება გრამობითაც კი ავწონოთ. ისინი უფრო შორს წავლენ, თუ წინააღმდეგობა არ შეხვდებათ. ლაპარაკია, სადამდე შემოდიან და ჩვენ სადამდე შემოვუშვებთ, თორემ მათი ნება რომ იყოს, თბილისშიც შემოვიდოდნენ ზარზეიმით.

— ხურვალეთში საფრთხის განსაზღვრა თუ შეიძლებოდა ან მსგავს საფრთხეს სხვა სოფლებშიც ხომ არ უნდა ველოდეთ?

— ალბათ არსებობს გარკვეული ლოგიკა, რაც ჩვენთვის უცნობია. რაღაც რუკები, რომელთა მიხედვითაც მოქმედებენ... ძნელია ყველაფრის განჭვრეტა. სად არის პოტენციური რისკის ზონები, ამაზე ჩვენმა სახელმწიფომ უნდა იფიქროს. თუმცა ეს მსჯელობა ძალიან შორს წაგვიყვანს. საქმე ისაა, როგორ გავუწიოთ წინააღმდეგობა. შესაძლებელია გადაიდგას ისეთი ნაბიჯები, რომლებიც მათ სივრცესა და მოქმედებას გარკვეულწილად შეზღუდავს.

მთის მოსახლეობა დახმარებას ითხოვს

რა პრობლემები აქვთ უკანაფშავის სოფლების მკვიდრებს და რატომ ელოდებიან „მაღალმთიანი რეგიონების შესახებ“ კანონის მიღებას

ბაჩო ტურაშვილი
598-47-87-14

უკანაფშავის სოფლების, ვაკის სოფლისა და შუაფხოის მოსახლეობა დახმარებას ითხოვს. ადგილობრივები, „მაღალმთიანი რეგიონების შესახებ“ კანონის მიღებას მოუთმენლად ელიან. მთიელები იმედს გამოთქვამენ, რომ მათ ეს კანონი წაადგებათ და საჭირბოროტო საკითხებს გადაუწყვეტს. როგორც შუაფხოს მაცხოვრებლები აღნიშნავენ, მათ სოფელში, სამედიცინო პუნქტში, საკმარისი მედიკამენტები არ არის და მხოლოდ ერთი მოხალისე ექიმი ემსახურება, ისიც საკუთარი რესურსებით. ასევე არ არის გამართული სამანქანე გზის სავალი ნაწილი და სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა გამოძახების ადგილამდე რამდენიმე საათის შემდეგ აღწევს. უგზოობაზე საუბრობენ ვაკის სოფლის მკვიდრებიც, გზის გაწმენდას ითხოვენ და ამბობენ, რომ ამ და სხვა პრობლემების გამო, მთა თანდათან ხალხისგან იცლება, რაც საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში დემოგრაფიულ პრობლემებს ქმნის. ადგილზე, ძირითადად ასაკოვანი მოქალაქეები რჩებიან. ისინი ამბობენ, რომ მიუხედავად გაუსაძლისი პირობებისა, მამულს ვერ თმობენ და საცხოვრებლად სხვაგან გადასვლაზე არც ფიქრობენ. ახალგაზრდებს კი სურთ, სასწავლებლად მაინც წავიდნენ სხვაგან, თუმცა, ამბობენ, რომ მიღებულ ცოდნას, სავარაუდოდ, ისევ თავისივე სოფლების საკეთილდღეოდ გამოიყენებენ.

უკანაფშავის პრობლემებზე „ვერსიას“ სოფელ ვაკის მკვიდრი, დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაფხოს პედაგოგი, **თამარ ჩოხელი** ესაუბრა: **„უკანაფშავის თითქმის დაცლილი სოფლების მოსახლეობის სახელით ვთხოვთ ადგილობრივ ხელისუფლებას, დუშეთის მუნიციპალიტეტს და საქართველოს მთავრობას, რაც შეიძლება სწრაფად აღმოუჩინონ დახმარება მათ, ვინც ჯერ კიდევ ადგილზეა. ერთი მოხუციც რომ იყოს, დაეხმარონ, რადგან ამ მოხუცის ფესვებთან დაკავშირებული ადამიანების დაბრუნება უფრო ადვილია, ვიდრე დიდი ხნის წინ გადასახლებულების. შუაფხოში არსებობს სამედიცინო პუნქტი, მაგრამ არ არსებობს წამლების საკმარისი რაოდენობა. ავადმყოფებს დროულად ვერ ეხმარებიან; პრობლემაა გზაც, რომლის სავალ ნაწილს მდინარე არაგვი თანდათან შლის. კარგი იქნება, თუ აქაურ მასწავლებლებს ხელფასიდან პროცენტიც არ ჩამოეჭრება — მთის მკაცრი პირობების გამო, აქ საჭიროებაც მეტია და ჩვენ საკმაოდ დიდი თანხა გვჭირდება საარსებოდ“.**

შუაფხოს მკვიდრი, 80 წლის **ვლადიმერ წელაური**, ერთ-ერთია, ვინც „ფესვების“ მიტოვება ვერ შეძლო. არასოდეს მოშორებია თავის კერას და მთა ერთი დღითაც არ მიუტოვებია: **„ჩვენი ცხოვრება თავისთავად სირთულესთანაა დაკავშირებული, მაგრამ როდესაც კაცს თავისი ადგილ-მამული უყვარს, ყველაფერს იღონებს, მთამ ხალხთან ერთად იარსებოს. სამწუხაროდ, არ გვაქვს სახნავ-სათესი მიწები. ყანა ვერ ასწრებს ნაყოფის მოსავლიანობას. იყო დრო, აქ ხალხს ქერი და ჭვავი მოჰყავდა... აი, მაშინ, იმდენად არ უჭირდა მთაში მცხოვრებ კაცს. დღეს მთლად უიმედოდ ვართ მიტოვებულნი. მთავრობა გვპირდება, რომ მიიღებენ კანონს, რომლის ამოქმედების მერე ხალხი ამოისუნთქავს. იმედია, მალე ასეც იქნება“.**

17 წლის მომავალი იურისტი **მირანდა იარაჯული** სოფელ შუაფხოში ცხოვრობს. ახლა ეროვნული გამოცდების პასუხებს ელოდება. გეგმავს, საბაკალავრო საფეხურთან ერთად, მაგისტრატურაც გაიაროს და შემდეგ, თავის რაიონში დაიწყოს მუშაობა: **„სასწავლებლად თბილისში ვაპირებ გადასვლას, მაგრამ საბოლოოდ, მთის მიტოვებას არც კი ვფიქრობ — ჩემს სოფელსა და ხალხს მინდა მოვახმარო ჩემი ცოდნა. თუ არ მივხედეთ ჩვენს სამყოფელს, სხვისი იმედი არც უნდა გვქონდეს. ძალიან მიყვარს ჩემი მთები, ჩემი მდინარეები, ჩემი სოფელი და მის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია“.**

1. დაწესებულების წარმომადგენელი, რწმუნებული
2.ქრისტეს ჯვარცმის ადგილი
3. უმაღლესი ნეტარება ბუდიზმში
4. შამფურზე შემწვარი ხორცი
5. ილიას მკვლელობის ადგილი
6. თხების ჯოგი
7.ცნობილი ქართველი პიანისტი მამაკაცი
8. ალექსანდრე მაკედონელის ცოლი
9.ყველაზე დიდი მაიმუნი
10.მტაცებ. ფრინველი
11. სიყვარულის ღმერთი რომ. მით.
12.მდინარე იტალიაში, პოს შენაკადი
13. შ-ის ფორმის ძაღლი გულმკერდში
14. მოხეტიალე მომრერალი ძვ. საბერძ.
15. ხემიანი საკრავი
16.აღმზრდელი სამეგრელოში
17. პურის საცხობი ღუმელი
18. ფრანგი ფერმწერი
19. პოეტური გამოცანა
20. დილის ჰანგი აღმოსავლეთში
21. პატარა ტყე მინდორში
22.ქეთევანის სატრფო „ჩხიკვთა ქორწილში“
23. საბალეტო ფეხსაცმელი
24. ჩრდილოეთ კორეის დედაქალაქი
25. ბიძინა ივანიშვილის „რუსული“ სახელი
26. გაიგივება, გათანაბრება
27. მუსიკალური გამის V ნოტი
28. დამხმარე თეორემა
29. დიდი ნახატი კედელზე
30. ამერიკელი მსახიობი
31. დიდი ფრანგი სკულპტორი
32.ოპერის ვოკალური ეპიზოდი ერთი ხმისათვის
33. ფრანგი კინომსახიობი მამაკაცი
34. მუქი ნაცრისფერი, ლეგა
35. ტბა თბილისთან
36. მდინარე შვეიცარიის დედაქალაქში
37.ზღაპრული სიმდიდრის მითიური ქვეყანა სამხ. ამერ.
38. წყლიანი ადგილი უდაბნოში
39. ვირ-ტუოზული პასაჟი სიმღერაში
40. სინათლის სიკაშკაშის ერთეული
41. ძიუდოისტთა ოსტატობის ხარისხი
42. პორტუგალიური მაგარი ღვინო
43. სასროლეთი
44. წამლის ბურთულა
45. ცხვრის მატყლის ცხიმი
46. უნგრული სადესერტო ღვინო
47.მსახიობთა განლაგება სცენაზე გარკვ. მომენტში
48. საზოგადოების რჩეული ნაწილი
49. ჩიტის საცხოვრებელი
50. გამარჯვების ქალღმ. ბერძნულ მითოლოგიაში
51. სტალინის პარტიული ფსევდონიმი
52. „კიას“ მოდელი
53.„ახალი“ ბავშვ. ენაზე
54.თოვლის დედოფლის ტყვე ბიჭუნა
55.მიზანა ბრეგვაძის ვაჟი „შერეკილებში“
56. საქართველოს საპორტო ქალაქი
57. გარეული ღორი
58. მიწისქვეშეთის ერთ-ერთი მდინარე
59. შეჯიბრების დაწყების მომენტი
60.მთვარის მოხაზულობა
61. ცოცხლადშობა
62. ძვირფასი სარეწაო თევზი
63. ხელოვნების დარგი
64.ბებერი მგელი ვაჟას მოთხრობაში
65. ყვავილთა მეფე
66. ლეგენდარული ქართველი ფალავანი
67.ნოდარ დუმბაძის „... გეშინია, დედა!“
68. გაზაფხულის ყვავილი
69. სამხრეთ აზიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მდინარე
70. ხურდა ფული შვედეთში
71. ფსიქიური აშლილობის ერთ-ერთი ფორმა გონების დაბინდვით
72. თურქული ტელესერიალი
73. თუთიყუშის სახეობა
74.დურუ ხუნჭუას ცოლი „რეკორდში“
75. ჭიდაობის ილეთი
76.იაპონელი მწერალი ქენძაბურო ...
77. „მე, ბებია, ... და ილარიონი“
78. ადამიანის სამეტყველო ორგანო
79. სამი მუსიკოსისგან სედგენილი ანსამბლი
80. კიდევ, ხელახლა
81. ინგლისელი როკ-მუსიკოსი და სიმღერების ავტორი ... ოსბორნი
82. ჰოლივუდის ვარსკვლავი ... ბესინჯერი
83. კინემატოგრაფიის მამამთავარი ლუი ...
84. გათენება, გარიჟრაჟი
85. მახრჩობელა გველი
86. ჩინურ-იაპონური შაში
87. კუკარაჩას ცოლის სახელი

„ჭკვიანი სარკე“ ჯანმრთელობას შეგიმოწმებთ

იტალიელმა სპეციალისტებმა „ჭკვიანი სარკე“ შექმნეს, რომელიც ჩვეულებრივი აქსესუარივით გამოიყურება, მაგრამ მასში ჩამონტაჟებულია 3d-სკანერები, ფართო სპექტრის კამერები და სენსორები, რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას გამომეტყველებით აანალიზებს. სარკე, სახელად Wize Mirror ანალიზს ატარებს კანის მდგომარეობის, მიმიკის, სახის სიფითრისა თუ სიწითლის მიხედვით. სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა ადამიანის სახეზე ეძებს გადაღლილობის ან მღელვარების ნიშნებს, ამავდროულად, გაზის სენსორები სუნთქვის ანალიზს ატარებს იმ ნაერთების აღმოსაჩენად, რაც მიღებული ალკოჰოლის ან მოწეული სიგარეტის რაოდენობაზე მეტყველებს. სამგანზომილებიანი სკანერები კი სახეს აანალიზებს იმის გასაგებად, გახდა ადამიანი თუ პირიქით, წონაში მოიმატა. ფართო სპექტრის კამერები პულსისა და ჰემოგლობინის დონის მდგომარეობას ამოწმებენ. მთელი პროცესი ერთ წუთს გრძელდება, რის შემდეგაც ადამიანს აწვდის ინფორმციას, რამდენად ჯანმრთელად გამოიყურება. გარდა ამისა, „ჭკვიანი სარკე“ რეკომენდაციებსაც იძლევა, როგორ გაიუმჯობესოს მომხმარებელმა მდგომარეობა. მოწყობილობის კლინიკური ცდები გაისად უნდა დაიწყოს იტალიასა და საფრანგეთში. ექსპერტები შეამოწმებენ, რამდენად ახლოსაა „ჭკვიანი სარკის“ მონაცემები ტრადიციული სამედიცინო მოწყობილობების მაჩვენებლებთან.

ᲡᲣᲓᲝ�კᲣᲠᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

				7	6		4	
	7	9	5		4			
	4	2		8			5	
			8					
	3	1		9		8	7	
					1			
	8			4		3	6	
			2		8	5	9	
	5		6	1				

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

		7			5	4		
					6			8
1			4	3	2			6
2		9						
4		6				9		3
						8		1
3			2	6	8			5
9			1					
		1	7			6		

ᲠᲗᲣᲚᲘ

	2				7			3
		3	5		8		2	
		6	4				8	
			3			5		
3				1				8
		2			6			
	5				4	8		
	3		9		1	7		
1			6				5	

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

		9				6	4	
	6						7	
	8	7	6	4				
3			5	8		1		
			9		2			
		2		6	1			8
				2	8	7	9	
	2						8	
	7	4				3		

ახლო აღმოსავლეთი ყველაზე დეპრესიულია



მსოფლიოში დეპრესიის ყველაზე მაღალი დონე ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში ფიქსირდება. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ავსტრალიელი სწავლულები ქვინსლენდის უნივერსიტეტიდან და ჩვენს პლანეტაზე დეპრესიის გავრცელების რუკაც შეადგინეს. კვლევისას გამოიყენეს ამ სენის გავრცელებისა და ხანგრძლიობის შესახებ მონაცემები, მსოფლიოს ამა თუ იმ წერტილში დეპრესიის ხარისხი რომ განესაზღვრათ. მეცნიერების აზრით, აღნიშნული დაავადება მეორეა მსოფლიოში, რაც ადამიანის შრომისუუნარობის მიზეზი ხდება. ასეთი დიაგნოზი კი მსოფლიო მოსახლეობის თითქმის 4%-ს აქვს. სწავლულები აღნიშნავენ, რომ ასეთი ადამიანები შესაძლოა, უფრო მეტნი იყვნენ, მაგრამ იმ ქვეყნებში, სადაც სამედიცინო მომსახურებაზე ხელი ნაკლებად მიუწვდებათ, აღწერაც არ ხდება. შესაძლოა, ამით აიხსნას დაავადების უჩვეულოდ დაბალი დონე ერაყში. თუმცა, ამის მიუხედავად, კვლევა მაინც ასახავს რეალურ ვითარებას მსოფლიოში. მოსახლეობის 5%-ზე მეტს სტანჯავს დეპრესია ახლო აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ აფრიკაში, აღმოსავლეთ ევროპასა და კარიბის ზღვის ქვეყნებში. დეპრესიის ყველაზე დაბალი დონე კი დაფიქსირდა აღმოსავლეთ აზიაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასში.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

8	4	7	6	2	5	1	3	9
5	6	3	8	1	9	4	2	7
2	1	9	7	4	3	8	6	5
1	2	8	5	9	4	3	7	6
3	7	6	2	8	1	9	5	4
4	9	5	3	7	6	2	1	8
9	8	2	1	6	7	5	4	3
7	5	4	9	3	2	6	8	1
6	3	1	4	5	8	7	9	2

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

8	7	5	4	3	6	1	2	9
1	4	9	2	8	5	7	3	6
6	2	3	1	7	9	4	8	5
4	3	8	9	6	7	2	5	1
5	9	6	3	2	1	8	4	7
2	1	7	8	5	4	6	9	3
9	8	4	7	1	3	5	6	2
7	6	2	5	9	8	3	1	4
3	5	1	6	4	2	9	7	8

ᲠᲗᲣᲚᲘ

2	3	1	9	5	8	4	7	6
4	9	6	3	7	2	1	8	5
8	7	5	4	1	6	3	9	2
1	2	7	8	6	5	9	4	3
5	8	9	7	4	3	2	6	1
6	4	3	2	9	1	8	5	7
3	6	2	5	8	4	7	1	9
9	5	4	1	3	7	6	2	8
7	1	8	6	2	9	5	3	4

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

8	1	9	6	3	7	2	5	4
4	7	6	5	2	1	3	9	8
2	5	3	9	8	4	1	7	6
3	9	2	8	5	6	4	1	7
7	6	8	4	1	2	5	3	9
5	4	1	7	9	3	8	6	2
1	3	7	2	4	9	6	8	5
9	2	5	3	6	8	7	4	1
6	8	4	1	7	5	9	2	3

მე-10 გვერდი: 1. ცათამბჯენი; 2. პოლიგლოტი; 3. ცილა; 4. თემიდა; 5. მაროკო; 6. „ჯოკერი“; 7. ორანგუტანგი; 8. ინტელიგენტი; 9. ლოდი; 10. ტოფუ; 11. სკუმბრია; 12. აკუტაგავა; 13. აპისი; 14. მარმელადი; 15. აუტოდაფე; 16. აბელი; 17. ალიბი; 18. ქვაბი; 19. კაკაპო; 20. ალასკა; 21. ვალაბი; 22. როკადა; 23. გალა; 24. მეტასტაზი; 25. ანანასი; 26. დაბა; 27. ზაგრები; 28. ბაბალე; 29. კასტა; 30. ტიგელი 31. რიგა; 32. ბადია; 33. კარე; 34. სიეტლი; 35. გენია; 36. ინა; 37. ზოდი; 38. ტრიტიკალე; 39. ნუნისი; 40. სკა; 41. ლორი; 42. ინო; 43. გავა; 44. იაგო; 45. რიზე; 46. რძე; 47. ტონა; 48. იოდი; 49. ალა; 50. რალი; 51. ტირე; 52. კოდა; 53. აკვა; 54. მასაი; 55. ეფა; 56. ბილ; 57. რადარი; 58. მაიდანეკი; 59. მიკ; 60. ამატი; 61. ისარა; 62. აბა.

ორსულთან მიახლოება დასჯადია

აშშ-ში, პენსილვანიაში მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც, მომავალი დედის მუცელთან მიკარების მსურველს, შესაძლოა, სოლიდური ჯარიმის გადახდამ მოუწიოს. როგორც ადგილობრივი პრესა წერს, ეს უჩვეულო ინიციატივა შეწუხებული ფეხმძიმეების გამო მიიღეს. საქმე ისაა, რომ პენსილვანიის მცხოვრებლები სენტიმენტალობით გამოირჩევიან — არავინ რჩება გულგრილი, როცა ორსულ ქალს ხედავს. ამერიკული მედია აღნიშნავს, რომ ლამის ყოველი გამვლელი ნორმად მიიჩნევს, მივიდეს მომავალ დედასთან, დაინტერესდეს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით, ჯანმრთელობა უსურვოს და მუცელს შეეხოს. შტატის ხელისუფლებამ ამ ფაქტით შეწუხებული ქალების საჩივრები ყურად იღო და ახალი კანონიც „გამოაცხო“, მის დამრღვევს კი დაუჯარიმებენ. თუმცა, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი ფეხმძიმეს მუცელზე მისი თანხმობის გარეშე შეეხებიან და იგი სასამართლოში იჩივლებს.

სიმსივნის დაბინძურებული ჰაერი იწვევს

კიბოს შემსწავლელი საერთაშორისო სააგენტოს ექსპერტები აცხადებენ, რომ ადამიანებში ონკოლოგიურ დაავადებათა წარმოშობის ძირითადი მიზეზი დაბინძურებული ჰაერია. როგორც ორგანიზაციის წარმომადგენლები აცხადებენ, სპეციალისტების განკარგულებაში საკმაოდ „წონიანი“ მტკიცებულებებია იმისა, რომ სწორედ დაბინძურებული ჰაერი იწვევს სიმსივნის განვითარებას, განსაკუთრებით კი, თუ ლაპარაკია ფილტვებისა და შარდის ბუშტის კიბოზე. სააგენტოს სწავლულებმა მონაცემების გაანალიზება 2010 წლიდან დაიწყეს. 223 ათას შემთხვევაში დაავადების მთავარი მიზეზი ჭუჭყიანი ჰაერი აღმოჩნდა. ექსპერტებმა ასეთი დასკვნა ურიცხვი სამედიცინო კვლევის შედეგად მიიღეს, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩაატარეს ბოლო სამი წლის განმავლობაში. ამან მათ საშუალება მისცა, ფილტვების ონკოლოგიასა და დაბინძურებულ ჰაერს შორის პირდაპირი კავშირი აღმოეჩინათ და ეს უკანასკნელი კანცეროგენების სიაში შეიყვანეს. სპეციალისტების განცხადებით, ამ მხრივ განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობა ჩინეთსა და ინდოეთშია. ევროპის ქვეყნებს შორის, დაბინძურებით გამოწვეული საფრთხე ბულგარეთსა და პოლონეთს ემუქრება, დიდი რისკის ქვეშაა საფრანგეთიც, სტატისტიკის მიხედვით კი, ყოველწლიურად მსოფლიოში კიბოთი ექვსი მილიონი ადამიანი ავადდება.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ნინო ლურსმანაშვილი
ᲛᲔᲓᲘᲐᲯᲒᲣᲤᲘ: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘ – ნინო ებანოიძე
ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

იცხოვრეთ მშვიდად

დაზოგეთ წელიწადში 300 ლარი

ბინა – 60 ლარი

აგარაკი – 100 ლარი

ბინას + აგარაკი = 135 ლარი



დაცვის პოლიციის მიერ დაცული სააგარაკე ზონებია:

წყნეთში, ბეთანიაში, კოჯორში, საგურამოში, შინდისში, ტაბახმელაში, ოქროყანაში, წავკისში, ბორჯომში, ბაკურიანში, ქვარიათში, ურეკში, გონიოში, სარფში, ნატახტარში, მისაქციელში, ჟოპორტში, ბულაჩაურში, არაგვისპირსა და წითელსოფელში.

www.125.ge SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

იცხოვრეთ მშვიდად

დაიცავით თქვენი ქონება თანამედროვე დაცვითი სისტემებით

დაცვის პოლიცია თავის საქმიანობას მაღალი კლასის სატრანსპორტო საშუალებებით ახორციელებს. დედაქალაქსა და რეგიონებში მოქალაქეთა უსაფრთხოებას ოპერატიული რეაგირების 60 ეკიპაჟი ემსახურება.

გართობა

1. თომას მანის ცნობილი რომანი
2. კუბურ-ესპანური ხალხური ცეკვა
3. დავით აღმაშენებ-ლის ძეგლის ავტორი
4. ფრანგი მწერალი
5. კვების მრეწველ. ქართული კომპანია
6. საჩხვლე-ტი იარაღი ფარიკაო-ბაში
7. ებრაელთა მასიური გენოციდი II მს. ომში
8. „გან-დეგილში" ნახსენები გამოქვაბ.
9. ქვის კოშკები სარდინიაზე
10. ქპან. საფეხბურთო კლუბი „... ვალეკანო"
11. მოლ-დოვას ეროვნული ვალუტა
12. ინდონე-ზიის კუნძული
13. ზღვის დიდი კიბო
14. კორიდის ერთ-ერთი მონაწილე
15. ე. წ. საღათას ძილი
16. ირ-ლანდიის რესპუბლიკ. არმია
17. რუსეთის მრისხანე მეფე
18. იისფერი მწვანილი
19. მუსიკ. გამის I ნოტი
20. უხეში მიტკალი
21. ძვ. ქართული საესტრადო კოლექტივი
22. აგენტ 007-ის ერთ-ერთი შემსრულ.
23. თმის მცენა-რეული საღებავი
24. ძლიერი ქარიშხალი ოკეანეში
25. ერთ ეკლესიაში მოსიარულე ხალხი
26. ცისფერი ნილოსი ეთიოპიაში
27. გერმანული კოსმეტიკ. ფირმა
28. ჩარხზე მომუშავე ხელოსანი
29. ბიბლიური ისაკის ძე
30. დიდი კაშკაშა მეტეორი
31. ყველაზე მსხვილი სისხლ-ძარღვი
32. მეფე „ათას ერთ ღამეში"
33. ამაზონის დელფინი
34. თბილისი 2015-ის თილისმა
35. უმაღლე-სი მიღწევა
36. დაკოდ. ცხენი
37. სპილბერგის უცხოპლა-ნეტელი
38. გფრ-ის ყოფილი დედაქალაქი
39. ინდური კობრა
40. უნარი, მოხერხება
41. გემის მზარეული
42. იგივე კვიპაროსი
43. პატარა საწნახელი
44. ქმრის შესაკრავი
45. იგივე იალქანი
46. „ყველაფრის მკურნალი"
47. სამხედრო ფერი
48. ბროშში ჩასმული მსხვილი ბრილიანტი
49. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
50. მყინვარი თუშეთში
51. ე. წ. განის ხერხი
52. მხატვარი ...-გრეკო
53. ომის ღმერთი ბერძნულ მითოლოგ.
54. ფრანგ. ავტომარკა
55. უნგრუ-ლი ცეკვა
56. კრეტის უმაღლესი მწვერვალი
57. ქალის პირბადე
58. ლეგენდარული ქართველი მსახიობი ქალი (სახელი)
59. მხამიანი მათრობელა ბუჩქი
60. რკინის ქუდი
61. მაუგლის პითონი
62. ბგერის გრაფიკული ნიშანი
63. ცხენის გასარეკი შოლტი
64. ორიანი კამათელზე
65. ფრანგ. ყურძენი
66. თიბათვის თანამედროვე სახელწოდება